საერთო გაზეთი

№1 (682)
ოთხშაბათი
18 იანვარი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

15 თებერვლიდან მედიკამენტებზე ზღვრული ფასი წესდება

ფარმაცევტულ კომპანიებს განსაზღვრულ ფასზე ძვირად წამლის გაყიდვა 15 თებერვლიდან აღარ შეეძლებათ.

რეფერენტული ფასი, პირველ ეტაპზე, 1300-ზე მეტ ქრონიკულ და ონკოლოგიურ მედიკამენტზე დაწესდა. ეტაპობრივად კი სხვა მედიკამენტებზეც განისაზღვრება.

მედიკამენტებზე განსაზღვრული რეფერენტული ფასი ორიგინალისა და მისი ანალოგი გენერიკებისთვის განსხვავებულია, რაც ბაზარზე საერთაშორისო ბრენდების ინტერესს დააზღვევს.

ზღვრული მაქსიმალური ფასები საბითუმო და საცალო რეალიზაციის დონეზე დაწესდა.

ცვლილება მოსახლეობისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდას ისახავს მიზნად.

ლუციფერის ადვოკატი

ნულოვანი ტოლერანტობა! ადგილზე ლიკვიდაცია! ყველანი ციხეში!

სააკაშვილი საზღვარგარეთ სამკურნალოდ კი არა, დაუყოვნებლივ კარცერში უნდა იქნას გადაყვანილი

მიშა ერთობა, მედპერსონალი კი სასჯელს იხდის

კამო შემსრულებელი იყო, მიშა კი – ჩასვრილია

რუსეთი სრულმასშტაბიანი ომისთვის ემზადება

მაია ნიკოლეიშვილი: ექსპერტებისგან მსგავს პროფანაციას არ ველოდი

დეტალებში დაფარული ეშმაკები

„გვქონდეს ეს არაფრისმაქნისი მშვიდობა მსოფლიოსგან სადღაც მიგდებულებს“

გილოცავთ ნათლისღების დღესასწაულს!

ლუციფერის ადვოკატი

ნულოვანი ტოლერანტობა! ადგილზე ლიკვიდაცია! ყველანი ციხეში!



ზნედაცემული ანგელოზი

არასოდეს მიფიქრია, მიხეილ სააკაშვილის, ამ სატანის მოციქულის, უფასო ადვოკატი ვყოფილიყავი, მაგრამ ახლა, მის ნაძირალა ადვოკატებს რომ ვუყურებ, სწორედაც რომ ჩემი დასაცავი გახდა!

რა რჩევებს აძლევენ, რას ასულელებენ ისედაც გარეკილ I-ს, შურისძიების ასეთი ფორმა აირჩიეს მისი ზეობის ხანაში მოწინააღმდეგე ბანაკში მყოფებმა? რა უქნეს და რას დაამსგავსეს კრებისითმა აბელა სეთურებმა?

მართალია, ჩემში და მრავალ ჩემებრ განწყობილში იოტისოდენა სიბრალულიც ვერ აღძრა სააკაშვილის დავრდომილობის უნიჭო სცენებმა, მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს, რომ მას ჰყავდეს ჭეშმარიტი ადვოკატი ჩემი სახით მაინც და აი, რატომ:

იყვირა პრეზიდენტმა: ნულოვანი ტოლერანტობა, ადგილზე ლიკვიდაცია, ყველანი ციხეშიო და ტაში დაუკრეს — დასტურ, ასე უნდა იყოსო. ერთი არ შეწინააღმდეგებია, რას ამბობთ, პატივცემულო, ასე როგორ შეიძლება, ეს რა ბრძანება-მოწოდებააო. პირიქით, დაფაცურდნენ და ვინც ვის სად მოატანა — ქუჩაში, ტრასაზე, ციხეში თუ სხვაგან, ნებისმიერ ადგილზე, იქვე ჩაკლეს.

მიხეილ სააკაშვილს არ დაუხოცავს საკუთარი ხელით ეს უამრავი უდანაშაულო (თუნდაც, დამნაშავე) ადამიანი;

— არ მიუთითებია, კონკრეტულად ეს ადამიანები დახოცეთ, სადაც მოატანთო;

— არ უთქვამს, კონკრეტულად, ვთქვათ, 165 გვამი მჭირდება, პრემია დიდი იქნებაო;

— არ უთქვამს, კონკრეტულად ამდენი და ამდენი ამა და ამ ადამიანის გაუპატიურება მინდაო;

— არ უთქვამს, კონკრეტულად ესა და ეს ათასობით ადამიანი მინდა, რომ ციხეში იყოსო;

მიხეილ სააკაშვილს არ უთქვამს, კონკრეტულად ამ და ამდენი ადამიანის ქონება მინდაო;

ვის ქონებაზეც თვალი ჰქონდა დადგმული ან პირადი მტრობა ედო გულში, შესაძლოა, იმაზე მიეთითებინა, მაგრამ დანარჩენი ფეხზე ეკიდა, მხოლოდ საკუთარი ზეაღმატებულობით ტკბებოდა.

„ოღონდ არ იყოს ბუნტი!“ — ეს იყო მისი პოზიცია.

იჯდა ეს მამალი სექსუალისტდაცურებული საქართველოს პრეზიდენტად და სრულიად ე.წ. დასავლეთი ხელისგულებს იტყავებდა ტაშისკვრით, ეს რა ვარსკვლავბიჭუნა გვყავს, ეს რა დემოკრატიის შუქურა იშვაო.

ყოფილი „ვარსკვლავბიჭუნა“ საგონებელშია: ეს რა უნიათო ხელისუფლებაა — „ნულოვან ტოლერანტობას“ არ ასრულებენ, არც ჩემი ადგილზე ლიკვიდაცია მოუხდენიათ არაჟნის კონტეინერში, „ყველანი ციხეში“ მაინც შეასრულონ, მხოლოდ მე რატომ ვარ ციხეში, თანამზრახველ-აღმასრულებლები მაინც მომისვან გვერდზეო... მერე გადაიფიქრებს, რაც იმათ ხალხი ხოცეს, მეც არაფერი დამმართონო და ტლინკებსღა ისვრის საწოლში...

ზის ახლა ეს უკრაინის მოქალაქე გარეკილ I „ვივამედში“ და უნიჭოდ კლოუნობს. დაარიგეს, თუ წვერგაუპარსავი, თმაგაჩეჩილი და ლოყებშეწოვილი გამოჩნდები, ძალიან ნაწამებს და მომაკვდავს დაემსგავსებიო. ამავდროულად, დაუჩემებიათ: კლავენ, წამლავენო.

ადამიანს ეჭვი გაგიჩნდება, სწორედ თვითონ ხომ არ უპირებენ მოწამვლას და მოკვლას პატივცემულ „ვარსკვლავბიჭუნასა“ და „დემოკრატიის შუქურას“, სანამ პირი გაუღია და დაუფქვია, ვისთან ერთად და რა მაქინაცია-საქმეებს სჩადიოდა მსოფლიო მასშტაბით. ყოველ შემთხვევაში, იმ ე.წ. დასავლელ ტაშისმკვრელებთან ერთად მაინც და რატომ, რაში იყენებდნენ და რის საფასურად აბოგინებდნენ ამ დაცენტრილ მანიაკს ქვეყნის პირველ პირად?

იმ „დასავლეთმა“ არ იცოდა, რეალურად ვინ იყო და რას წარმოადგენდა ფსიქიკურად არაჯანსაღი მიხელ სააკაშვილი? იცოდა და ზედმიწევნითაც! — მსოფლიოს შვიდი წამყვანი კლინიკის დასკნა იდო მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე.

მიხეილ სააკაშვილი რისი შემქმნელი იყო ბავშვების გარდა — ამდენად, ვერც იმ ძალადობრივი სისტემის შემქმნელი იქნებოდა!

გალმიდან თავსმოხვეული ყბადაღებული ე.წ. „გაიდლაინებით“ რამდენი რამ გაფუჭდა და ფუჭდება დღემდე. ჰოდა, ვინც გაიდლანებით ქვეყნის ტირანული მმართველობის მზა მოცემულობა მიაწოდა, მისი არსებობა უცნობია?

არ არის უცნობი!

ვინც სასჯელაღსრულების დაწესებულებების გაიდლანებით მართვა დაავალა, ადამიანთა წამების ინსტრუქტაჟი გადასცა საქართველოს ციხეებისთვის და სრული თავისუფლება მისცა, რომელ ჩიგვში ზის?

არ ზის ჩირგვში, მაგრამ ვაგლახად ვერავინ შეჰბედავს სიტყვას მეორე, მისებრ მტარვალის გარდა და ამიტომაც შეიბნენ უკრაინაში...

ამდენად, არც იმ ძალადობრივი სისტემის შემქნელია მიხეილ სააკაშვილი, ამიტომ ელოდება, რომ რამენაირად მოახერხებენ მის დახსნას მისი საქმიანი პარტნიორები აშშ-ევროპიდან. თავის მხრივ, არც ისინი იშურებენ ვითომ ძალ-ღონეს, მაგრამ სახე-იმიჯშელახული თოჯინა მეორადი გამოყენებისთვის, სჭირდებათ?!

ჩირგვში არავინ ზის

დღეისათვის უკვე ცნობილია მსოფლიოსთვის, რომ აშშ-ში 11 სექტემბრის ტერაქტთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოსაძიებლად აშშ-ის სპეცსამსახურები, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, უბრალოდ, იტაცებდნენ აღნიშნულ დანაშაულში ეჭვმიტანილებს. რამდენადაც აშშ-ის ტერიტორიაზე აკრძალულია ადამიანის წამება, **აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამსახურმა CIA)** საიდუმლო ციხეები ქვეყნის გარეთ განათავსა. ამგვარ ქმედებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ რიგი ქვეყნების კანონმდებლობაში, როგორიცაა: პაკისტანი, ავღანეთი, იორდანია, ეგვიპტე და პოლონეთი, ნებადართულია პატიმრების წამება. უფლებადამცველმა ორგანიზაციამ **Open Society Justive Initiative** სცადა, გამოეთვალა, რამდენი სახელმწიფო ეხმარება აშშ-ს ამგვარ ქმედებაში. აღმოჩნდა, რომ ასეთი 54-მდე ქვეყანაა, რაც მსოფლიოში არსებული სახელმწიფოების 21%-ს შეადგენს, მათგან 28% კი გაეროს წევრი ქვეყანაა.

პოლონეთის საიდუმლო საპყრობილე „სტარე-კეშკუტი“ აშშ-ის სპეცსამსახურებმა შექმნეს ტერორისტული ორგანიზაციებისა და „ამერიკული მოძრაობის“ ლიდერებისთვის (თავიანთი მოქალაქეებისთვის!), ხოლო რუმინეთში არსებული საიდუმლო საპყრობილე „მიხაილ კოგელნიჩანუ“ შედარებით „დაბალი დონისთვის“ არის გათვალისწინებული. ცხადია, ქვეყნის პრეზიდენტი ყოველთვის საქმის კურსშია, როდესაც მისი ქვეყნის ტერიტორიაზე მსგავსი საიდუმლო საპყრობილე არსებობს.

არავისთვის არის საიდუმლო, რომ აშშ-ის პოლიტიკა აგებულია ორმაგ სტანდარტზე: ქვეყნის შიგნით უსიტყვოდაა დაცული ადამიანის უფლებები, ხოლო მის საზღვრებს გარეთ თავს უფლებას აძლევენ, ბრალის წაყენების გარეშე, ყოველგვარი ადამიანური უფლება აჰყარონ, საპყრობილეში გამოკეტონ და აწამონ ადამიანები.

როგორც უფლებადამცველი ჯული ჰოლი ამბობს, **NATO**-ში შემავალი ქვეყნების ხელმძღვანელები მაშინ იყვნენ საქმის კურსში, როდესაც აშშ-ს ჯერ კიდევ არ ჰქონდა რეალიზებული „საიდუმლო ციხეების პროექტი“ ტერორიზმთან ბრძოლის ჩარჩოში. ამ საკითხის პირველი საერთაშორისო გამოძიება 2006 წელს დაიწყო, ანუ იმ ქვეყნების მეთაურებს, სადაც განთავსებული იყო საიდუმლო ციხეები, ჰქონდათ დრო და უფლება, შეეწყვიტათ აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა, მაგრამ... მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა სახელმწიფომ კომპენსაცია გადაუხადა წამების მსხვერპლებს, დღემდე არ შემდგარა არც ერთი სასამართლო პროცესი მათ წინააღმდეგ, ვინც აღნიშნულ დანაშაულს სჩადიოდა. ჰოლი ვარაუდობს, რომ ნაწამებმა ადამიანებმა თუნდაც ღიად რომ ისაუბრონ საიდუმლო ციხეებში წამების დეტალებზე, გამოძიება უსასრულოდ გაგრძელდება წლების განმავლობაში.

სანამ ვაშინგტონს შეეძლო ხსენებული საიდუმლოების დაცვა, შესაძლებლობა ჰქონდა, გაენადგურებინა დოკუმენტაცია, მეორეს მხრივ კი, საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით ავრცელებდა ცრუ ინფორმაციებს.

მიუხედავად იმისა, რომ მასმედიის მიერ ჯერ კიდევ ბუში-უმცროსის დროს იქნა ეს ინფორმაცია სააშკარაოზე გამოტანილი, სიტუაცია არ შეცვლილა — აშშ-ის სპეცსამსახურები განაგრძობენ იმ სახელმწიფოების კანონების დარღვევას, სადაც მათი საიდუმლო საპყრობილეები მდებარეობს. მათ, ვინც როგორღაც თავი დააღწია ამ საპყრობილეებს, გამოიტანეს ამბავი, რომ იქ ენით გამოუთქმელ, მახინჯ, გაუკულმართებულ, ადამიანის ფანტაზიისთვის წარმოუდგენელ მოპყრობას აქვს ადგილი, რათა პატიმარი აიძულონ, დაასახელოს დანაშაულში თანამონაწილე პირები, თუნდაც რეალურად არ არსებობდეს დანაშაული და, შესაბამისად, თანამზრახველები.

ყველა — ყველა, მაგრამ „გაიდლაინები“, როგორც ჩანს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანთა წამებისთვისაც არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოთხსენებული „ენით გამოუთქმელი, მახინჯი, გაუკულმართებული, ადამიანის ფანტაზიისთვის წარმოუდგენელი“ არაადამიანური მოპყრობის ფორმები, მეთოდები და საშუალებები ერთნაირი ვერ იქნებოდა აშშ-ის დაქვემდებარებაში არსებული ქვეყნების საიდუმლო საპატიმროებში და მათ შორის, საქართველოს ოფიციალურ ციხეებში (სხვათა შორის, კერძო საუბრებში ბევრჯერ დასმულა კითხვა, სად არიან ის პატიმრები, რომლებიც გაურკვეველი მიზეზითა თუ მიზნით აშშ-მ აქ გადმოტყორცნა და კიდევ, ხომ არ არის „ალექსეევკის“ გასაიდუმლოებული ლაბორატორია სინამდვილეში პატიმრებზე ექსპერიმენტების ჩატარებისთვის განკუთვნილი ლაბორატორია).

რა შემთხვევაში შეიძლება ინდივიდი მართვადი გახდეს

ვნახოთ, რამდენად შეესაბამება ეჭვი სიმართლეს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გამეფებული რეჟიმი სტენფორდის ექსპერიმენტის გასაიდუმლოებული დასკვნით შედგენილი გაიდლაინებით იყო ნასაზრდოები და ეს სისტემა სპეციალურად იყო შექმნილი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ საკუთარი, მაგრამ „სხვაგვარად მოაზროვნე“ ხალხის დასათრგუნად.

აბუ-გრეიბის ცნობილი სკანდალის შემდეგ (დოკუმენტური მასალა გაავრცელა **CNN**-მა და **BBC**-მ) მსოფლიომ გაიგო „სტენფორდის ციხის ექსპერიმენტის“ შესახებ, რომელსაც მანამდე გრიფი „საიდუმლო“ ედო. ექსპერიმენტმა ის მექანიზმები გამოავლინა, რომლებსაც გამაოგნებელი სისასტიკის გამოწვევა შეუძლია ადამიანებში.

ფსიქოლოგი ფილიპ ზიმბარდო („სტენფორდის ციხის ექსპერიმენტის“ ხელმძღვანელი): „ჯერ მეგონა, რომ ეს იყო ის კადრები, რომლებიც მე გადავეცი აშშ-ის სამხედრო-საზღვაო შტაბს. ყველაფერი იგივე იყო, სრულიად იდენტური ვიდეომასალა. სასწრაფოდ ჩავფრინდი ერაყში და აბუ-გრეიბის ციხის ყოფილ უფროსთან, უილიამსთან მოვითხოვე შეხვედრა, რომელიც იმ დროს დაპატიმრებული იყო. მან მიამბო, რომ სპეციალური გაიდლაინებით მოქმედებდა, რომლებსაც პატიმართან მოპყრობის გრაფიკული ვიდეოინსტრუქცია ახლდა. მან ეს ინსტრუქცია გაამრავლა და რეჟიმის უფროსებს

დაურიგა. ისინი ზუსტად უნდა მიჰყოლოდნენ ინსტრუქციას, შესრულებულ სამუშაოზე კონტროლი კი თვით უილიამსს ევალებოდა. ეს იყო ჩემი ექსპერიმენტის შედეგები, რაც ჩემთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. 2007 წელს მე სარჩელი შევიტანე კონკრეტული პირებისა და იმ მაღალჩინოსნების წინააღმდეგ, ვისაც 1971 წელს გადავუგზავნე ეს მასალები, 2006 წელს კი მე თავად ავხადე მათ გრიფი „საიდუმლო“ და ჩემს ნაშრომს „ლუციფერის ეფექტი“ ვუწოდე — როგორ იქცევიან კეთილი ადამიანები ბოროტებად“.

35 წლის შემდეგ ზიმბარდო იმ სპეციალისტთა გუნდში აღმოჩნდა, რომლებიც აბუ-გრეიბის სკანდალს იკვლევდნენ და მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აშშ-ის მთავრობას ყველაფერი ისე არ წარმოეჩინა, თითქოს „ავადმყოფი“ მხოლოდ ერთი ზედამხედველი იყო, სისტემაში კი ყველაფერი რიგზე იყო.

ფილიპ ზიმბარდომ ექსპერიმენტისთვის „ციხეში ცხოვრების იმიტირება“ მოახდინა. 70 კანდიდატიდან ზიმბარდომ ყოველმხრივ გამოკვლეული, მორალურად და ფიზიკურად ჯანმრთელი 24 მოხალისე სტუდენტი აიყვანა და სრულიად უსისტემოდ დაჰყო სამ ჯგუფად: 9 პატიმარი, 9 მცველი და 6 შემცვლელი. ცდისპირებს ორი კვირის განმავლობაში თითოეულს დღეში 15 დოლარს უხდიდნენ.

„პატიმრებს“ დათქმულ დღეს ნამდვილმა პოლიციამ მიაკითხა. მათ სახლებში შეუცვივდნენ, დაადანაშაულეს, გაჩხრიკეს, ხელბორკილები დაადეს, გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, გადაუღეს ფოტოები, ჩაუტარეს დაქტილოსკოპია, აუხვიეს თვალები და სტენფორდის უნივერსიტეტის „ციხეში“ მიიყვანეს. ყველაფერზე ვიდეოკონტროლი ხორციელდებოდა, თუმცა არანაირი მინიშნება არ ყოფილა, რომ ექსპერიმენტი დაიწყო.

პატიმრებს ჩააცვეს უფორმო ტანსაცმელი საცვლების გარეშე, თავზე ნეილონის წინდა ჩამოაცვეს, ჩამოართვეს სახელები და მათ ნომრები მიანიჭეს. „პატიმრები“, ცხადია, მთელი დრო „ციხეში“ უნდა ყოფილიყვნენ, „დაცვას“ კი 8-საათიან ცვლაში უნდა ემუშავა. დაცვის წევრებმა არასამუშაო დღესაც დაიწყეს მისვლა. გაუთავებლად „პატიმრების“ სიას კითხულობდნენ ნომრებით. „დაცვა“ უფრო ხშირად იქცეოდა სადისტურად, იმატა „პატიმრების“ მასხრად აგდებამ, განსაკუთრებით ღამით, რადგან ფიქრობდნენ, რომ ვიდეოკონტროლი არ ხორციელდებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ სახიფათო ექსპერიმენტმა ექსპერიმენტატორებიც ჩაითრია — ზიმბარდომ, „დირექტორმა“ შეიტყო, რომ „ციხეში“ გაქცევა მზადდებოდა და ექსპერიმენტის ნამდვილ ციხეში გადატანა მოითხოვა.

ექსპერიმენტი მე-6 დღეს შეწყდა ოფიციალური ფორმულირებით „მონაწილეთა პათოლოგიური რეაქციების გამო“. „ზედამხედველები“ სერიოზულად აღშფოდნენ. როდესაც ზიმბარდომ ისინი თავის ოთახში დაიბარა, მათ თავის გასამართლებელი უამრავი არგუმენტი აღმოაჩნდათ: „პატიმარმა შეურაცხყოფა მომაყენა“, „ეს ჩემი მოვალეობაა, ამაში მიხდიან ფულს“, „ეს ექსპერიმენტისთვისაა საჭირო“ და ა.შ. უმთავრესი ის გახლავთ, რომ, როდესაც ექსპერიმეტი დროზე ადრე შეწყდა, ზიმბარდო იძულებული გახდა, შტაბიდან გამოეძახებინა სამხედროები „ზედამხედველების“ შესაჩერებლად. ასეა თუ ისე, ერთი კვირა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ნორმალური ადამიანები სასტიკ ადამიანებად ქცეულიყვნენ — ექვსი „პატიმარი“ საავადმყოფოში იყო გადაყვანილი...

საშინელი ექსპერიმენტი

1971 წელი. კვირა.

14 აგვისტო

წინა საღამოს ზიმბარდო „ზედამხედველებს“ მითითებას აძლევს, რომ შეინარჩუნონ წესრიგი ფიზიკური ძალადობის გარეშე, მაგრამ მაქსიმალურად ბუნებრივად იმოქმედონ. დილით პატიმრებს უკვე ზემოთ აღნიშნული „ფორმები“ აცვიათ — ასე „ზედამხედველებმა“ გადაწყვიტეს. „პატიმრებს“ ფეხზე ჯაჭვიც აქვთ მობმული — ესეც „ზედამხედველის“ იდეა. რაც შეეხება „ზედამხედველებს“, ისინი ვიზუალურად არაფრით განსხვავდებიან ნამდვილი ზედამხედველებისგან.



15 აგვისტო

„მცველებმა“ დაიწყეს „პატიმრების“ დასჯა — ღამით უმიზეზოდ წამოყარეს საწოლებიდან, 30-30 აზიდვა გააკეთებინეს და ისევ მისცეს დაწოლის უფლება, თუმცა ნახევარ საათში ისევ წამოყარეს და ამჯერად უსაცვლებო „პატიმრებს“ „ვირობანა“ ათამაშეს. რომელიღაცას აზრად მოუვიდა სურათების გადაღებაც. სიტუაცია დაიძაბა. „პატიმრებმა“ ბარიკადები აღმართეს. საპასუხოდ, „პატიმრები“ „ზედამხეველებმა“ ჯაჭვებით დააბეს, ცეცხლმაქრებით გაწუწეს და „კარცერებში“ შეყარეს საღამომდე. ერთი პატიმარი უკვე ღრიალებს და ექსპერიმენტიდან გასვლას ითხოვს. მოვლენების ამგვარი სწრაფი განთვითარებით გაოგნებული ზიმბარდო (ექსპერიმენტატორთა ჯგუფი) გადაწყვეტს, რომ №8612-მა დატოვოს ექსპერიმენტი.

16 აგვისტო

საკანი საღორეს ჰგავს, რადგან „ზედამხედველებმა“ აჯანყებულები დასაჯეს და საპირფარეშოში მოსაქმება აუკრძალეს, მათ შორის №8612-ის შემცვლელსაც. „პატიმრები“ დათრგუნვილები არიან. თავის მხრივ, „ზედამხედველებმა“ ზიმბარდო დაარწმუნეს, რომ გათავისუფლებული „პატიმარი“ შეეცდება, გააპაროს მეგობრები და ჩაშალოს ექსპერიმენტი, ამიტომ, ზიმბარდომ ის სასწრაფოდ უნდა დააბრუნოს „ციხეში“ და „კარცერში“ (უნივერსიტეტის სარდაფის ტუალეტი) ჩაამწყვდიოს. ატმოსფერო პარანოიდულია.

17 აგვისტო

„ზედამხედველები“ უფრო ამჟღავნებენ ფანტაზიებს, პატიმრებს უკვე შიშვლად აიძულებენ „ვირობანას“ თამაშს. მათ თავზე გადაჭრილი ტომრები აქვთ წამოცმული, რათა ერთმანეთი არ დაინახონ. იმის გამო, რომ ზიმბარდომ „მცველებს“ სამონტაჟოში შესვლა აუკრძალა (წინა დღეს ორ მცველს შეუსწრო, რომლებიც ჩანაწერებს უკან ახვევდნენ და რაღაცაზე ხარხარებდნენ). მათ თვითონ მოიტანეს კამერები და პატიმრებს ფირზე იღებენ. ახალ პატიმარს (№127) საშინელი ნერვული შეტევა ემართება და მთელ სხეულზე გამონაყარი უჩნდება. მას ათავისუფლებენ, მაგრამ... ორი წარუმატებლობა სამ დღეში! — ზიმბარდო მაინც შემართულია, აინტერესებს, სადამდე მივლენ ექსპერიმენტის მონაწილეები, რომლებიც მან, საუკეთესო პროფესორმა, პირადად შეარჩია სწორედ კეთილშობილური თვისებების მიხედვით.

18 აგვისტო

მრავალჯერადი უსამართლო დასჯის შემდეგ ორი პატიმარი უკიდურესად განერვიულებულია და გაშვებას ითხოვს, მაგრამ ზიმბარდო არ ფიქრობს ექსპერიმენტის შეწყვეტას, სანამ „ზედამხედველების“ ახალი ფანტაზიის შესახებ არ გაიგებს — ისინი აიძულებენ „პატიმარებს“, მიბაძონ ცხოველებს შეწყვილებაში. „პატიმრები“ არ ასრულებენ ბრძანებას. ამიტომ ერთს აწვენენ მუცელზე და მეორეს აიძულებენ „შეუდგეს საქმეს“. „პატიმარმა“ ამის გამო „მცველზე“ გაიწია. საპასუხოდ, იგი წამოაქციეს და მეორე პატიმარს აიძულებდნენ, იატაკის საწშენდი ჯოხით გაეუპატიურებინა იგი, ამჯერად უკვე ინსცენირების გარეშე — ძალადობა ზღვარს გადავიდა!

მაკონტროლებელი ეკრანის წინ მჯდომი ზიმბარდო შოკშია. ეს ნავარაუდევზე 9 დღით ადრე ხდება. ზიმბარდო ამცნობს ექსპერიმენტის მონაწილეებს, რომ ექსპერიმენტი დასრულებულია. ხდება სასწაული — „ზედამხედველების დელეგაცია“ მას ცხვირწინ უფრიალებს ხელშეკრულებას, ახსენებენ, რომ მას არ აქვს ექსპერიმენტის ჩაშლის უფლება და არსადაც არ წავლენ, სანამ ჭკუას არ ასწავლიან ამ კრიმინალებს და მკვლელებს და „ციხეში“ წესრიგს არ აღადგენენ.

დასკვნა

ზიმბარდო: „თუ თვალს დავხუჭავთ იმაზე, რომ გარკვეულ პირობებში ჩვენც შეგვიძლია სისტიკის ჩადენა, ეს იმას ნიშნავს, რომ ბოროტი ძალების ხელში აღმოვჩნდებით, მაგრამ თუკი ვაღიარებთ, რომ ბოროტება გადამდებია, ჩვენ უფრო ფხიზლად ვიქნებით და უკეთ შევძლებთ მისგან თავის დაღწევას. ილუზიებს ნუ შეიქმნით, ყველა ჩვენგანს შეუძლია იქცეს მოძალადედ და მოსთხოვოს პატიმარს ცხოველთა შეწყვილების ინსცენირება. თქვენც და მეც!“

როგორც აღმოჩნდა, ყველა საშინელება ჩვენშივეა ჩადებული და მის გამოსავლენად საკმარისია ადამიანისთვის ინდივიდუალობის ჩამორთმევა და ძალაუფლების მინიჭება. აღმოჩნდა, რომ იზოლაცია, „ჯგუფური ეფექტი“ (ვისაც ლიდერობა უნდა, ის უფრო სასტიკად იქცევა) და მოწყენილობა, ეს სამი ფაქტორი საკმარისია, რომ საკუთარი თავის გასართობად სხვა აწამო...

უმნიშვნელო განსხვავების გარდა, აბსოლუტური იდენტურობაა „სტენფორდის ექსპერიმენტს“, აბუ-გრეიბის ციხის, აშშ-ის საიდუმლო ციხეებსა და საქართველოს ციხეებს შორის.

ფილიპ ზიმბარდო: „თქვენ ნახეთ აბუ-გრეიბში ფელათიოს (ორალური სექსი) სიმულირება — „ჩემმა ზედამხედველებმა“ ეს ხუთ დღეში გააკეთეს. სტრესული რეაქცია იყო იმდენად დიდი, რომ ჩვენს მიერ არჩეული ჯანმრთელი, ნორმალური ბავშვები 36 საათში გატყდნენ. ექსპერიმენტი დასრულდა 6 დღის შემდეგ, რადგან ის კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. ხუთ ბიჭს ნერვული შეტევა ჰქონდა...“

ფრაგმენტი ფილიპ ზიმბარდოს ინტერვიუდან: „მიუხედავად იმისა, რომ ჩემი წიგნის თემა ბოროტებაა, რეალურად, ესაა გონების შეუზღუდავი შესაძლებლობების სადიდებელი, რომელიც ჩვენ კეთილად და სასტიკად, მზრუნველად ან უდარდელად, შემოქმედად ან დამანგრველად, ზოგიერთ ჩვენგანს კი ბოროტმოქმედად გვაქცევს, ზოგიერთი კი გმირი ხდება.“

ჯეიმს ლეზინგერი: „სტენფორდის ძალიან მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი გვაფრთხილებს ჩვენს თითოეული სამხედრო ოპერაციის შესახებ. თუ ადამიანებს მისცემ ძალაუფლებას და მათზე ზედამხედველები არ ეყოლებათ, ეს ძალადობის რეცეპტია.“

ზიმბარდო: „მათ ყველაფერი იცოდნენ და მაინც დაუშვეს, რომ მომხდარიყო. გენერალ ფეის მოხსენებაში საუბარია, რომ დამნაშავეა სისტემა და მიზეზი იყო გარემოება, ვითარება, რომელიც აბუ-გრეიბში შეიქმნა ცუდი ხელმძღვანელობის შედეგად, რომელმაც ხელი შეუწყო იმას, რომ ასეთი დამცირებები მომხდარიყო. ისევე, როგორც იმაზე, რომ ეს ძალადობა შეუმჩნეველი იყო უფროსობისთვის დიდი ხნის განმავლობაში...

ეს დამცირება გრძელდებოდა სამი თვის განმავლობაში და ვინ ადევნებდა თვალ-ყურს? — არავინ!... და ვფიქრობ, განზრახ... მათ მისცეს მცველებს სრული თავისუფლება, რომ ეკეთებინათ ყველაფერი, რაც სურდათ და მათ იცოდნენ, რომ არავინ არასდროს ჩავიდოდა ამ დილეგში...“

„ლუციფერის ეფექტი“ საკუთარ თავზე ვიწვნიეთ საქართველოშიც...

P. S. საბჭოთა კავშირის დროს, არხანგელსკში, ერთ-ერთ „ლაგერში“ პატიმარმა საკუთარი წინდით მოგუდა „ჩამშვები“ პატიმარი. იქვე შედგა სასამართლო და მას დახვრეტა მიუსაჯეს. ფორმალურად, ადვოკატი უნდა ჰყოლოდა და მიუჩინეს ვიღაც ლოთი მოხელე, რომელსაც იმ 15-წუთიან „სასამართლოზე“ მხოლოდ ეძინა. დასაცავი სიტყვა რომ უნდა ეთქვა, მაშინღა გააღვიძეს. ძლივს აითრია წელი ადვოკატმა და ყველასთვის მოულოდნელად, მთელი ხმით დასჭექა: „ბატონო მოსამართლევ, გთხოვთ, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი დაუყოვნებლივ დახვრიტოთ!“ — ასეა ჩემი საქმეც, მიუხედავად ჩემი „დიდი მცდელობისა“, ვერ გამოვდგები ლუციფერის ადვოკატად, რადგან მეც გამაღვიძეს...

ნინო დაუშვილი

რუსეთი სრულმასშტაბიანი ომისთვის ემზადება

სასტიკი რეჟიმის მსხვერპლთა მემორიალური დაფა, ყველას დასანახად, თბილისის პრესტიჟულ უბანში უნდა გამოვაკრათ

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი ДИМИТРИ ЛОРТКИПАНИДЗЕ:

— ბატონო დიმიტრი, რა მიზანი ამოძრავებს უკრაინას, რომელმაც საქართველოს „ბუკის“ სისტემისა და ამერიკული „ჯაველინების“ გადაცემა მოსთხოვა?

— ამას ვერც თხოვნას დავარქმევ და ვერც რეკომენდაციას. ეს ერთგვარი ნოტაა, რაც უკრაინამ საქართველოს წაუყენა. აღნიშნული არც პოლიტიკურ ეთიკაში ჯდება და არც პარტნიორული ურთიერთობების კონტექსტში. საქართველომ 2008 წლამდე არსებული შეიარაღების — ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების შესაძენად საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა, რაც უკრაინის მხრიდან არ ყოფილა არც გრანტი, არც რაიმე ტიპის საჩუქარი, ან ქველმოქმედება. მეტიც, ეს საკმაოდ საეჭვო ვითარებაში სამხედრო სფეროში დადებული გარიგება გახლდათ, რომლის ერთ-ერთი ხელმომწერი მაშინდელი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი იყო, რომელსაც შემთხვევით არ ვუწოდებთ წაგებული ომის მინისტრს. მან ობზორებში დიდი თანხები გაზიდა. დღეს კი „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი მედიასაშუალების მთავარ სპონსორად გვევლინება. ძვირადღირებული „ბუკების“ გარდა, საქართველომ უკრაინისგან კონვენციური იარაღი შეიძინა, მათ შორის, ფეხოსანთა აღჭურვისთვის საჭირო შეიარაღებაც, რომელთაგან საკმაოდ ბევრი „ბრაკი“ აღმოჩნდა.

კასიანოვის განცხადება ქართული სახელმწიფოს შანტაჟის კვალდაკვალ...

ასე რომ, კასიანოვის განცხადება ძალიან მძიმე მოსასმენი იყო, რაც იმით არის განპირობებული, რომ უკრაინამ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას ვერ მიაღწია. შემთხვევითი არც ის გახლდათ, როცა ბატონ ბიძინა ივანიშვილს 640 მილიონი ლარი წაართვეს და მიზეზი ასე „აუხსნეს“: თქვენი ფული უკანონო ტრანზაქციას შეეწირა და ვეღარ მიიღებთო. თანაც ამას ვინ ამბობს?! — ყველაზე რესპექტაბელური, მაღალი სანდოობის შვეიცარიული ბანკი „კრედიტ სუისი“, რომლის უკან აშშ-ის ადმინისტრაცია დგას. მან ბანკი ივანიშვილის წინააღმდეგ პირდაპირი პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად გამოიყენა.

დიახ, კასიანოვის განცხადება არ არის, უბრალოდ, მოთხოვნა, ეს მუქარა, სრულიად ქართული სახელმწიფოს დაშანტაჟებაა, რასაც ჩვენი მხრიდან აუცილებლად რეაგირება უნდა მოჰყვეს.

ვინ გაასამართლებს სააკაშვილს უკრაინის საზღვრის უკანონო კვეთისთვის?!

როდემდე უნდა ვიმეგობროთ უკრაინასთან ცალმხრივად?! ასე არ გამოვა! ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას – იგი საქართველოსთან კონფლიქტშია ისეთ ფუნდამენტურ საკითხში, რასაც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება ჰქვია. უკრაინა უკანონოდ იფარავს იმ ადამიანებს, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემულნი. მაგალითად, მეგის ქარდავა. ასევე, ზურაბ ადეიშვილი ბრალდებულია არაერთ სისხლის სამართლის წარმოების საქმეზე და განაჩენიც დამდგარია. განა ეს ფაქტები საკმარისი არ არის, საქართველომ უკრაინას პასუხი მოსთხოვოს?! ელემენტარულად, ხომ შეგვიძლია, უკრაინის მსგავსად, ჩვენც გამოვიწვიოთ ელჩი?! სხვათა შორის, არავინ საუბრობს იმაზე, რომ სააკაშვილი საქართველოში უკანონოდ შემოვიდა. პირველ რიგში, მან უკანონოდ დატოვა თავად უკრაინის საზღვარი. საინტერესოა, როგორ გამოეპარათ და **რატომ არ აღძრა თავად უკრაინამ საქმე სააკაშვილზე საზღვრის უკანონო კვეთის გამო?! შეგახსენებთ, საზღვრის უკანონო კვეთა ორივე მხარეს ეხება** — როცა სააკაშვილი კონტეინერებთან ერთად „შორეულ ნაოსნობაში“ გამოემგზავრა, ეს უკრაინის სპეცსამსახურებს, სამართალდამცავ ორგანოებს ხომ უნდა შეეფასებინათ?! ნუთუ, ვერ ხედავენ თავის წილ პასუხისმგებლობას იმაში, რომ სააკაშვილი საქართველოში რევოლუციის მოსაწყობად ჩუმად შემოიპარა?! დიახ, ამ ყველაფერს ვერ ხედავენ სწორედ იმიტომ, რომ სააკაშვილის უკან თავად დგანან. სწორედ ისინი არიან საქართველოში რევოლუციური პროცესების დაწყებისა და მეორე ფრონტისთვის მზადების სულისჩამდგმელები. აკერმანის მიერ ბაკურიანში გამართული ლექცია-სემინარებიც ხომ იმავეს ითვალისწინებდა — თუ როგორ უნდა მოეხდინათ ქვეყანაში გადატრიალება სწრაფად და ეფექტურად. სახელისუფლებო ცვლილება დასავლეთის დაკვეთით უნდა მომხდარიყო. აკერმანი განგებამ შეაჩერა. სხვა შემთხვევაშიც ასე მოხდება — **ყველა, ვინც საქართველოს მიმართ მზაკვრულ ჩანაფიქრს დაგეგმავს, მის ბედს გაიზიარებს.**

ვინ „ჩაანაცვლებს“ კელი დეგნანს?!

— ომის დაწყებიდან ერთ თვეში უკრაინამ საქართველოდან ელჩი გაიწვია. ახლა, როგორც ჩანს, ტაქტიკას ცვლიან. არ დაგავიწყდეთ ერთი საყურადღებო რამ: უკრაინა ელჩს ნიშნავს მაშინ, როცა კელი დეგნანს უფლებამოსილება ეწურება. ეს ველი მოშიშვლებული რჩება. ამ დროს გლობალური დასავლეთი დიპლომატიურ ფრონტს აძლიერებს, მათ შორის, უკრაინის ელჩის გამოგზავნით. ეს ნიშნავს პოლიტიკური ოპოზიციის დამატებით მხარდაჭერას. ეს გახლავთ დამატებითი ბერკეტი, ფორმალურად უკრაინის, მაგრამ არაფორმალურად დასავლეთის ხელში. ამ ინსტრუმენტსაც ეფექტურად გამოიყენებენ. აი, ამიტომ ნიშნავს ზელენსკი ამხელა პაუზის მერე საქართველოში ელჩს.

— ბენ ჰოჯესის განცხადებაზე რას იტყვით — საქართველოს ხელისუფლება გვამს, ანუ კრემლს გადაეჯაჭვა, თქვენთან დემოკრატია ცოცხალი აღარ არისო.

— ბენ ჰოჯესი გადამდგარი გენერალი, სამხედრო სფეროს ექსპერტია, თუმცა უფრო პოლიტიკური წინასწარმეტყველებით არის დაკავებული, რასაც ნაცები ხშირად ეყრდნობიან. ჰოჯესი სწორედ ის გენერალია, რომელიც ორი თვის წინათ საქართველოს ღიად მოუწოდებდა სამხედრო სფეროში უკრაინის დასახმარებლად ქმედითი ნაბიჯები გადაედგა. ის გახლავთ გენერალი, რომელმაც სამი თვის წინათ ღიად განაცხადა: ახლა, როცა უკრაინული არმია აღმოსავლეთ ფრონტზე ძალიან გააქტიურდა, საუკეთესო დროა იმისთვის, რომ საქართველომ აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართულებით გარკვეული სამხედრო მზაობა გამოხატოს. ამით რუსეთის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებს მოვსინჯავთ, რაც უკრაინული არმიისთვის დიდი შვება იქნებაო. ანუ, ჰოჯესი არ მალავს იმ სტრატეგიას, რაზეც ახლა არესტოვიჩი, პოდოლიაკი, ევროპარლამენტარები და სხვები ღიად საუბრობენ. მათი თქმით, საქართველო მზად უნდა იყოს, უკრაინას ამბრაზურასავით გადაეფაროს და მისკენ მიმართულ ტყვიას მკერდი შეუშვიროს. აი, ეს უნდათ. მათ იციან: თუკი ჩვენს ქვეყანას აიძულებენ, სამხედრო ინფრასტრუქტურულ სფეროში უკრაინას გვერდში დაუდგეს, ეს საქართველოსა და რუსეთს შორის კონფრონტაციულ გარემოს შექმნის. არადა, ამ ორ ქვეყანას შორის ბოლო დროს ურთიერთობები დათბა, რაც გლობალურ დასავლეთს ანერვიულებს. მიზეზი გასაგებია — სულ ცოტა დრო რჩება იქამდე, სანამ რუსეთი საქართველოსთან უვიზო რეჟიმს აღადგენს და პირდაპირი ავიამიმოსვლები განახლდება, რაც ჩვენი ეკონომიკისთვის დამატებითი ჟანგბადი იქნება. გარდა ამისა, რუსეთი, ფაქტობრივად, მეორე სავაჭრო ეკონომიკური პარტნიორია. ასევე, შეთანხმება მიღწეულია შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადაცემის ხაზის პროექტის განხორციელებაზე, რაშიც რუსეთიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

ზოგადად, გლობალურ გეოპოლიტიკას მორალური საზღვრები არ გააჩნია. რუსეთი დასავლეთის პირსისხლიანი მტერია, მაგრამ ეს უკანასკნელი მისგან ბუნებრივ და თხევად აირს იღებს. გლობალური დასავლეთისთვის უხერხული სულაც არ არის — ერთი ხელით უკრაინა შეიარაღებით მოამარაგოს, მეორეთი — რუსული ენერგომატარებლები მიიღოს.

— ბატონო დიმიტრი, დამტკიცდა რუსეთის 2023 წლის ბიუჯეტი და 2024-25 წლების ბიუჯეტის პროექტი, სადაც ომის ხარჯები გაწერილი არ არის. ეს რაზე მიუთითებს?

— საქმე ისაა, რომ რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა რუბლის კურსის შენარჩუნება შეძლო. დღეს რუსეთი გლობალური ინფლაციის მაჩვენებლების მიხედვით მეორე სახელმწიფოა, რომელმაც ეროვნული ვალუტა 20%-ით გაამყარა და თავის დამატებით საწარმოო სიმძლავრეებს ქმნის. იგი მაქსიმალურად ახდენს ეკონომიკის დივერსიფიკაციას. შესაბამისად, მითი იმის შესახებ, რომ ხვალ უკრაინა მოიგებს, ხოლო რუსეთი დაიშლება, დაქუცმაცდება და მის ბაზაზე რამდენიმე ახალი სახელმწიფო ჩამოყალიბდება, ზღაპარია. პოლიტიკოსები ასეთი ილუზიის ტყვეობაში არ უნდა იმყოფებოდნენ. გლობალური დასავლეთის პროპაგანდისტული მანქანა მაქსიმალურად ცდილობს, გაავრცელოს ინფორმაცია რუსეთის დაშლის გარდაუვალობაზე, თუმცა მისი ეკონომიკური მაჩვენებლები სხვა რამეზე მეტყველებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სამხედრო ბიუჯეტის გაზრდაა. რუსეთის თავდაცვის ბიუჯეტი 70 მილიარდ დოლარს შეადგენს. ჩნდება კითხვა: საიდან მოდის ეს თანხები? — სწორედ იქედან, რაც რუსეთმა დამატებითი ფონდებისა და სახსრების მოზიდვის შედეგად მიიღო, მათ შორის, ევროკავშირთან პირდაპირი ვაჭრობის გზითაც. მაგალითად, ბუნებრივი აირის მოხმარების დღიური შემოსავალი ევროკავშირიდან 2 მილიარდი ევროა. ასე რომ, რუსეთს

10 გვ. →

მიშა ავანსცენაზე ერთობა, მედპერსონალი კი სასჯელს იხდის

სააკაშვილი საზღვარგარეთ სამკურნალოდ კი არა, დაუყოვნებლივ კარცერში უნდა იქნას გადაყვანილი

გვესაუბრება პოლიტოლოგი, პროფესორი ლალი მოროშკინა:

— ქალბატონო ლალი, ბოლო პერიოდია, პოლიტიკურ ავანსცენაზე ერთი და იგივე სპექტაკლი მეორდება, რომელიც დიდი ხმაურით იწყება და ფინალი უცვლელია. რა სპექტაკლია, როგორი თეატრალური დასი გვყავს და ამას როდემდე უნდა ვუყუროთ?

— თამაშდება ძალიან უნიჭო სპექტაკლი, თავისი უნიჭო მსახიობით. სამწუხაროდ, მთავარ როლში კვლავ მიხეილ სააკაშვილია, რომლის უნიჭობას და უნამუსობას საზღვარი აღარ აქვს. შეიძლება, მსახიობი ძალიან ნიჭიერი იყოს, მაგრამ უნამუსო. ასევე, იყოს ძალიან წესიერი, მაგრამ უნიჭო. როცა უნიჭო და უნამუსო ერთად არის, ვიღებთ იმას, რაც სახეზე გვაქვს. მაყურებელი ამ სანახაობისგან შეწუხებული, დასტრესილია. ხალხი ითხოვს, ფარდა დაეშვას. ეს სპექტაკლი საზოგადოებას აღარ აინტერესებს. გამოცდილი თვალი ამჩნევს, რომ ყველაფერი დასრულდა, დეკორაციები დაზიანდა და აფიშები ჩამოიხა. ახლა უნდა ველოდოთ ახალ დასს, ახალ სიტუაციას და მაყურებელს, რომელიც ამასობაში საკმაოდ გამოიბრძმედა. დიდი ხელოვანი ადამიანები ამბობდნენ: **შეიძლება სპექტაკლი ნებისმიერ ქვეყანაში ითამაშო, მაგრამ ქართული საზოგადოების ტაში სულ სხვააო. იმიტომ, რომ ქართულმა საზოგადოებამ ყოველთვის იცის, ვის მქუხარე ტაში დაუკრას, ვინ ბისზე გამოიძახოს, ვინ აპლოდისმენტების გარეშე დატოვოს.** ვფიქრობ, საზოგადოება საკმაოდ გაზრდილია და კარგად ხვდება, რომ გრანდიოზულად უნიჭო თამაში მიმდინარეობს. პრაქტიკულად, მისული ვართ იმ საინტერესო მომენტამდე, როცა დეკორაციიდან დაწყებული, ყველაფერი უნდა შეიცვალოს — არათუ ამ დასის ჩანაცვლება მოხდეს, არამედ მას ყველა ის ადამიანი გაჰყვეს, ვინც საკუთარ ხალხს ასე უნიჭოდ, უნამუსოდ ეთამაშებოდა.

— სასამართლოზე უცხოელი ექსპერტები სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

— **ერთი რამ ძალიან მაკვირვებს — სააკაშვილის უსაქციელობის გამო, რატომ არ არიან ამ დრომდე სამედიცინო პერსონალი და პატიმრები გაფიცულნი.** ციხეში პატიმრები სახელმწიფოს არ უპირისპირდებიან, თორემ მიშას ვიგინდარული ქცევის გამო ციხე აქამდე აბუნტდებოდა. ძალიან ბევრ პატიმარს სჭირდება დახმარება. ამ დროს ხედავენ, რომ 200 ათასზე მეტი ლარი სიმულაციაზეა დახარჯული. იცით, კიდევ რას ვერ ვხვდები — რატომ არ არის სააკაშვილი კარცერში გადაყვანილი. დიახ, არა უბრალოდ საკანში, არამედ კარცერში. სააკაშვილი მედპერსონალს როგორც ექცევა, ეს სხვა ქვეყანაში რომ მომხდარიყო, მის მიმართ კანონით გათვალისწინებულ შესაბამის ზომებს მიიღებდნენ. არ მესმის, რატომ არის მის მიმართ კანონი ასეთი ლოიალური?! **მედპერსონალი ისეთ დღეშია, ტირის. არ ვიცი, ვინ იხდის სასჯელს — სააკაშვილი თუ მედპერსონალი. მიშა ერთობა, მედპერსონალი — სასჯელს იხდის.** მთავარია, როგორ მოიქცევა სახელმწიფო აპარატი, პროკურატურა, ის ადამიანები, ვინც რეალურად დაზარალებულნი არიან. ვფიქრობ, სააკაშვილს ექვსი წელი კი არ უნდა ჰქონდეს მისჯილი, არამედ საზღვრის კვეთასთან ერთად უნდა დაემატოს ბევრი სხვა დანაშაული, მათ შორის, დაისაჯოს მედპერსონალის მიმართ ასეთი დამოკიდებულებისთვის. ყველამ ვიცით, როდესაც საუბარია ადმინისტრაციულ დარღვევებზე, რაც მიშას არაერთხელ ჩაუდენია, ვადამდელ გათავისუფლებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მან ყველაფერი დაარღვია, რისი დარღვევაც შეიძლებოდა. სასჯელის გადავადება ხდება მძიმე ავადმყოფობის დროს. მძიმედ სნეული ადამიანი ვერ დაწერდა ამდენ წერილს — ბაიდენიდან დაწყებული, ყველას მისწერა. რაც შეეხება დემენციას, ეს სულ სხვაგვარად გამოიხატება. შესაბამისად, ის უნდა ყოფილიყო უმეტყველო და არა ქადაგად დაცემული და აგრესიულად განწყობილი. სააკაშვილი 100%-ით ჯანმრთელი გახლავთ. უბრალოდ, ის ბაძავს თავის უკრაინელ მეგობარს, ტიმოშენკოს, რომელიც ციხიდან ეტლით გამოაგორეს და მერე ქუჩაში დროშებით დარბოდა. ეს ჩვეულებრივი, ნაცადი სიმულაციაა. კიდევ ერთხელ ვამბობ: სანამ ციხეები აგვიფეთქდა, სანამ გაგიჟდა ხალხი, რომელიც თვეებია სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანას, გარკვეულ ოპერაციებს, ყურადღებას და ა.შ. ელოდება, სჯობს გონს მოეგონ. ამ დროს მთელი ყურადღება და ფინანსები ერთ ადამიანს ხმარდება. ამ საკითხზე საჭიროა სწორი რეაგირება, რათა ქვეყანაში უმძიმესი პროცესები არ დაიწყოს.

— წეღან ახსენეთ, სააკაშვილისთვის ექვსწლიანი სასჯელი ცოტააო. თქვენი აზრით, რა არის მისი მთავარი დანაშაული?

— სააკაშვილის კისერზე ბევრი დანაშაულია, მათ შორის, უმთავრესი — ტერიტორიების დაკარგვა. დიახ, ექვსი წელი ძალიან ცოტაა. **იურისპრუდენცია იცნობს შეკრებითობის კანონს. ვფიქრობ, ეს კანონი სწორედ სააკაშვილზეა ზედგამოჭრილი. ექვსი კი არა ოცდათექვსმეტი წელიც ეკუთვნის და ორმოციც.** ამაზე უნდა დავფიქრდეთ. ხალხი დაიღალა იმის ყურებით, როგორ აღვირახსნილად იქცევა სააკაშვილი და როგორ ექცევა თავად საზოგადოებას. ეს უნდა დასრულდეს. სასჯელაღსრულების სისტემამ, ასევე სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებმა ხმა უნდა აღიმაღლონ. სხვაგვარად ქაოტურ, ანარქიულ პროცესებამდე მივალთ. მე სასჯელაღსრულების სისტემაში ვმუშაობდი და ვიცი, პატიმრებმა შეიძლება დიდხანს ითმინონ, მაგრამ ერთი თუ დაიხუვლეს, ყველაფერი თავზე გადმოგვემხობა. შერჩევითი სამართალი დაუშვებელია. მიშაც ჩვეულებრივი პატიმარია და ისევე უნდა მოექცნენ, როგორც სხვა პატიმრებს. ადმინისტრაციული დასჯაც აუცილებელია. ასე თუ არ მოხდა, მაშინ სხვა პატიმრებიც მიშასავით მოექცევიან მედპერსონალს, ციხის თანამშრომლებს და რას მივიღებთ ამით?!.

— სანამ დემენციის დიაგნოზზე ისაუბრებდნენ, აპელირება სტრესზე იყო...

— სააკაშვილისგან სტრესი აქვს მიღებული ყველა იმ ადამიანს, რომელმაც მისი ციხე გამოიარა. ასევე, სტრესშია სრულიად საქართველო. არჩევანი მარტივია — ან მთელმა საქართველომ სტრესში ცხოვრება უნდა განაგრძოს, ან სააკაშვილი ჯეროვნად დაისაჯოს. გაცილებით კარგი იქნებოდა, მისგან ერთი ბოდიში მოგვესმინა და მერე ღირსეულად მოეხადა სასჯელი. მე სასჯელაღსრულების სისტემის მრჩეველი გახლდით, როცა ბაჩო ახალაია დააკავეს. ციხე — ეს არის ფილტრი, როგორ იქცევა ადამიანი გისოსებს მიღმა. ბაჩომ ძალიან კაცურად მოიხადა სასჯელი. ასევე, მოწიწებით ექცეოდა ციხის პერსონალს ვანო მერაბიშვილი. სააკაშვილი რასაც კადრულობს, ყოველგვარ მორალს, ზნეობას სცდება.

— ნაცები აცხადებენ: მიშას პირდაპირ ეთერში აწამებენო. რეალურად, რა არის წამება, რა ხდებოდა თავად სააკაშვილის ციხეებში?

— იმ ციხეებში, რომელიც ჩვენ დავხურეთ, საშინელება ხდებოდა. **ამ ციხეებში წამებაც არ იყო საჭირო, იმ საკნებში ცხოვრება უკვე წამება იყო. ამ ციხეებიდან გამოსული ძალიან ბევრი პატიმარი დაიღუპა, რადგან სტრესს ვერ გაუძლო. ეს კიდევ წამოგორებულია ოროთახიან ვიპპალატაში და არაფერი აკლია.** ამით სააკაშვილი შეურაცხყოფას აყენებს თავისივე შექმნილ პენიტენციურ სისტემას. იმასაც კი არ ამბობს: მართალი არ ვიყავი, ასეთ დილეგებში რომ მყავდით შეყრილიო. ქალთა ციხეში პირადი პაემნების ოთახები 2012 წლის შემდეგ გაკეთდა. სააკაშვილს იმდენად არ ემეტებოდა ადამიანებისთვის სიკეთე, რომ მის ციხეში პირადი პაემნების ოთახებიც კი არ არსებობდა. ეს უბედურება იყო — როდესაც ქალს იჭერდნენ, მას უფლებაც არ ჰქონდა, შვილი, ქმარი ენახა. მიშას ციხეებში არსებულ პირობებს ნორა კვიციანისა და სხვა პატიმრების ფსიქიკამ და ჯანმრთელობამ ვერ გაუძლო. ამ ადამიანების სულები სააკაშვილს დიდხანს შეაწუხებენ. არავის ვურჩევ, მიშას ბედი გაიზიაროს.

— ადვოკატებმა სააკაშვილის სია შეადგინეს. როგორ შეაფასებთ ამას?

— მაგნიტსკის საქმე აბსოლუტურად სხვა რამ იყო. მაგნიტსკის სიაზე, როცა სააკაშვილი პრეზიდენტი იყო, მაშინ ვსაუბრობდი. დიახ, ვამბობდი: ოდესმე მაგნიტსკის სიის მსგავსი გაკეთდება-მეთქი. ასეთი სია კიდეც გავაკეთეთ და იმ ჯურღმულის შემოქმედები დაისაჯნენ. ასე რომ, პლაგიატობას შეეშვას, ეს სია ჩვენ უკვე შევადგინეთ. ვიცით, რომ ყველას სიებში შეყვანა, ვინც ნაცებსა და მის ბელადს აუგად მოიხსენიებს, მათი საყვარელი საქმიანობაა. მე და ჩემნაირები ვიყავით შავ სიაში შეყვანილი და ათი წელი არაფერი გვაღირსეს, ჩვენს შვილებს ქუჩებში დასდევდნენ და რას აღარ კადრულობდნენ. მხოლოდ მათთან დაახლოებული ხალხი იყო ავანსცენაზე. ეს მათი მართვის მეთოდია — ადამიანები თავისიანებად და შავ სიაში მყოფებად დაჰყონ. შავი სიები მუდმივად არსებობდა, რაც მათ მიერ მართულ ყველა ტელევიზიას ჰქონდა. მიშას მმართველობის სტილი იგივე დარჩა — ვისი დაშინებაც შეუძლია, აშინებს, პირველ რიგში კი, თავისიანებს. ვხედავთ, რომ მელია განუდგა. პრაქტიკულად, „ნაცმოძრაობა“ დაიშალა. შემიძლია თამამად ვთქვა: ის ადამიანებიც, რომლებიც მის გუნდში მოიაზრებოდნენ, მისგან დაიღალნენ, რადგან ყველას ესმის, რომ ეს დამთავრებული თამაშია. დღეს ადამიანს ოდნავ გონება თუ უჭრის და სექტის წევრი არ არის, ხვდება, რომ მიშას თამაში დამთავრებულია.

— კასრებში არსებობდა სიები, თუ ვინ უნდა დაეჭირათ, ფიზიკურად გაენადგურებინათ. ესეც ხომ არ გადავცეთ ბროუდერს?

— ამ კასრების ვიდეოები როცა გვანახეს, ჟურნალისტებს გული ხელით გვეჭირა. ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ფაილები ბოლომდე განადგურებული არ არის და ალბათ, საჭიროების დროს გასაჯაროვდება.

7 გვ. →

კამო შემსრულებელი იყო, მიშა კი – ჩასვრილია

სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გავრცელდა მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი მომვლელი ექთნის საუბრის ჩანაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ აფერისტი სააკაშვილი „კამოობანას“ ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს.

ექთანი (ვინაობის გამჟღავნება გასაგები მიზეზის გამო არ ისურვა): „...იქნებ, დროზე მოაშორონ ეს გიჟი აქაურობას... მედიცინის მუშაკი ვარ, მესმის, რომ ყველა პაციენტი ერთია და ასეც უნდა იყოს, მაგრამ მისი საქციელი ნორმალური, შერაცხადი ადამიანისას არ ჰგავს, მისი ადგილი ხონის ფსიქიატრიულ დისპანსერშია. ამბობენ, სპეციალურად თამაშობსო, მაგრამ შეგვიკლა ხელში, აღარ შეგვიძლია.

ის ნივთების სროლა, რაც საზოგადოებამ იხილა, არაფერია. ხან თათბირებს ატარებს, ხან იცვამს და სამიტებზე გაშვებას ითხოვს, მაგრამ ყველაზე აუტანელი, შვილო, დამიჯერებთ, ჯერ პატარა ბავშვივით განზრახ საწოლში შარდავს, შემდეგ საკუთარ ფეკალიებს ამრგვალებს და გვესვრის, კალათბურთს ვთამაშობო... ორმა მედდამ უარი განაცხადა ამ მონსტრთან შესვლაზე. ვიცი, რომ მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნება არ შეიძლება, მაგრამ ჩვენც ხომ ადამიანები ვართ? ქალბატონ ნინოს უაღრეს პატივს რომ არ ვცემდე, მეც განცხადებას დავწერდი და ერთი წუთით არ ვიმუშავებდი იქ.“

ეს ბოროტი ჯამბაზი! თუ უნდა რომ „კამო-2“ გახდეს, საკუთარი ფეკალიები კი არ უნდა აგორგოლავოს, უნდა გადანთქას „აბი გლუკოზასავით“, ან ბლომანჟესავით მიირთვას, მაგრამ არის მთავარი „მაგრამ“. როდესაც კამომ ის განთქმული ქმედება შეასრულა, მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა და მოძველდა, თანაც, მედიცინამ საკმაოდ წინ წაიწია ფსიქიატრიის განხრით... კამო „შემსრულებელი“ იყო, ბერლინის ციხეში ის შეასრულა, რაც „შედევრია“. ქურდული სამყარო ამას დღესაც „სწორად“ მიიჩნევს...

ხელები უყარს მოახლოებული სიკვდილის გამოო — გვამუნათებდნენ და აუყროლდებოდა, აბა, რა მოუვიდოდა...

ეს „ჩინური კამო“ რევოლუციით მოშავდა; რატომღაც „დიადი ველოსიპედის“ ძეგლიც დაგვიდგა კამოს ტვინის მინთხლევის ადგილის სიახლოვეს სააკაშვილმა და, ვინ იცის, კამო გაიდეალებულიც ჰყავს და ჩვენ ახლა ფეკალიებით თამაში გვიკვირს. ახლა ერთი საკვანძო საკითხიღა დაგვრჩა გასარკვევი, სად ისურვებდა „კამო-2“ დაკრძალვას? თუ იტყვის, პუშკინის სკვერში, შადრევანთანო, დასტურ ასეა!

მის დედას არავინ ეკითხება, მაგრამ იმუქრება, თუ ჩემი შვილი აღარ იქნება, სახელმწიფოებრიობა აღარ გვექნება, ისე წაიშლება საქართველო, როგორც წაშლილი იყო მრავალი წელიო; ყველას პასუხს გაგებინებთო; იქით, უკრაინაში უკრაინის მფარველ წმინდანად უპირებენ გამოცხადებას ახალდროების უკრაინელი ე.წ. მღვდელმსახურები. რა საინტერესოა, როგორ გამოსახავენ, დაგორგოლავებული განავლით ხელში?

საკუთარი განავლის დაგორგოლავებამდე არაჟნის კონტეინერით შემოპარვა იყო, მანამდე — ამ მანიაკის ტირანული მმართველობა. ეს სინდის-ნამუსგარეცხილები კი გამომდგარან და ხან პუტინის პირადი პატიმარიაო, ხან ივანიშვილის შურისძიებას აქვს ადგილი, თორემ რა დააშავა ქვეყნის აღმაშენებელმა, მაკედონელმა და იულიუს კეისარმა, მიშა ბრწინვალემო. მთელი „ნაცსექტა“ გამოსაკვლევია, ვერ არის ვერც ამათი ფსიქიკური მდგომარეობა სახარბიელო.

ეს მთელი ნაცკაკაფონია მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ მიხეილ მანიაკი სრული დანაშაულებრივი ნუსხით არ არის წარმდგარი მართლმსაჯულების წინაშე, ერთი ვინმესა და რამეს საქმეები რა სახსენებელია, როცა ადამიანი თავ-ფეხიანად დამნაშავეა ყველა მიმართულებითა და განხრით.

რა შუაშია ბიძინა ივანიშვილი და ვლადიმირ პუტინი, მით უმეტეს, როდესაც საკანშიც კი არ ზის ეს ქვეყნის მაოხრებელი უსირცხვილო ქაქისროლია?

როდესაც საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საჯარო გახადა „ვალერი გელაშვილის საქმეზე“ უცხოელი მრჩევლების წინასწარი დასკვნა (რომელიც საქართველოს პროკურატურის მასალების საფუძველზე მომზადდა), მათ მითითებული ჰქონდათ: გამოძიების პროცესში, შესაძლოა, დასკვნა გადაისინჯოს კიდეც, თუ ჯგუფს დამატებითი მტკიცებულებები წარედგინებათ.

დასკვნის გამოცხადებისთანავე, თითქოს უცხოელი მრჩევლები ბიძინა ივანიშვილის დაქირავებულები იყვნენ, მათი წინასწარი დასკვნა მიუღებელი იყო. ფაქტობრივად, მან ღიად დასდო ბრალი სერ ჟოფრეი ნაისს, მოშე ლადორსა და პოლ კოფეის, რომ ფინანსური დაინტერესების გამო ისინი გარიგებაში იყვნენ ბიძინა ივანიშვილთან და მხოლოდ ამიტომ მიიჩნიეს, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება კონკრეტული პირების

მიმართ აბსოლუტურად მართებულია.

სერ ჟოფრეი ნაისი (დედოფლის ადვოკატი) იყო იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ყოფილი მოადგილე (1998-2006 წ.წ.) და სერბეთის ყოფილი პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოებას ხელმძღვანელობდა;

მოშე ლადორი ისრაელის სახელმწიფო პროკურორი იყო 2013 წლის ბოლომდე და ზედამხედველობდა ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ეჰუდ ოლმერტისა და რამდენიმე სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირის ბრალმდებელი იყო;

პოლ კოფეი იყო აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის განყოფილების ყოფილი უფროსი, რომელიც საჯარო სამსახურის შემდეგ დაინიშნა მართლმსაჯულების სისტემის უმაღლესი რანგის თანამდებობის პირად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიაში კოსოვოში.

არაფერი იყო ახალი, მაგრამ „ნაციონალებისა“ და მათი უცხოელი გულშემატკივრებისთვის ინგრეოდა მათ მიერვე შექმნილი მითი, რომ საქართველოში ყოფილი ხელისუფლების მაღალი რანგის პირების მიმართ პოლიტიკური დევნა ხორციელდება.

ეს „დაუძინებელი მეგობრები“ რაღას ჩამოგვეკიდნენ, რატომ არ დაგვეხსნებიან, ამათაც რაღაც ხომ არ უკავიათ ხელში მახათის ნაცვლად და ჟამიდან ჟამამდე აგორგოლავებენ?



აშშ-ის დეპარტამენტი სააკაშვილის ხელისუფლების დროს არასდროს შეწუხებულა მსგავსი საკითხებით, კითხვის შემბრუნებელიც ვინ იყო, ან არის „ვითომ ჟურნალისტებიდან“, ან საქართველოს ხელისუფლებიდან. მაშინ ხომ საქართველო კი არა, უნგრეთი ვიქნებოდით... დიახ, როგორც კი ვაშინგტონიდან ბუდაპეშტს მოუწოდეს, რომ პოლიტიკა შეეცვალათ და პატივი ეცათ იმ დემოკრატიული ღირებულებებისთვის, რაც აშშ-ისთვისაა დემოკრატიული ღირებულება უნგრელმა კანონმდებლებმა აშშ-ის ამ მოწოდებას „სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა“ უწოდეს და განაცხადეს, რომ ამ მიზეზით, შესაძლოა, ვაშინგტონსა და უნგრეთს შორის ურთიერთობა დაიძაბოსო. საქართველო კი...

რაც მართალია — მართალია, დიდი ხანია, ისე უცნაურად გვაკვირდებიან, უსაშველოდ ბრუციანები არიან?!.

საინტერესოა, აშშ რატომ არ „აკვირდება“ თავისივე ქვეყნის (ან სხვა ქვეყნის) იმ მოქალაქეებს, რომლებიც, პირიქით, სწორედ ამერიკელ სენატორებს „აკვირდებიან“ და კითხვა აწვალებთ, რატომ უჭერენ მხარს ამერიკელი სენატორები ქართველ ტირანსო? ბევრმა მათგანმა (სიკორსკი, ჰანს გუნარ ადენი, რომან ფინი და ა.შ.) ბევრი რამ თქვა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ პრანკერ „ვოვანისა“ და ლუის რობერტსონის ნაუბარი გავიხსენოთ, რომელიც მაშინ შედგა, სანამ მიშა არაჟნად შემოიპარებოდა საქართველოში.

„ვოვანი“: „მე საუბარი ასე დავიწყე: იცი, მიშა, შენ მანდ, ვაშინგტონში ზიხარ და ვიცი, ფართო კავშირები გაქვს. კარგი იქნებოდა, რომ უკრაინასთან მიმართებაში დაგვეხმარებოდი, რაღაც ორგანიზება გაგეკეთებინა ან ფინანსების, ან იარაღის სფეროში... ამაზე მან მიპასუხა: ოკ, რაზეა ლაპარაკი... მე მართლაც მშვენიერი კავშირები მაქვს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტთან. შემიძლია დაგალაპარაკო სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან, რამდენიმე გავლენიან პიროვნებასაც გაგაცნობ... ვინც გინდა, რა, მოკლედ... ორი დღის შემდეგ სააკაშვილი პანიკაში ჩავარდნილი მირეკავს, გთხოვ, ჩემს ძმას სასწრაფოდ დაეხმარო, კიევის აეროპორტში დაუკავებიათ, უკრაინაში ყოფნის 90-დღიანი ვადა დაუმთავრდა და, შესაძლოა, საქართველოში დეპორტი მოახდინონო. ამ საკითხში მართლა დავეხმარეთ მე და ჩემი მეგობარი ალექსეი, მისი ძმა გავათავისუფლებინეთ — სხვაგვარად არსენ ავაქოვი როგორ ვიქნებოდი, ჩემი სტატუსის დადასტურება მჭირდებოდა. ამის შემდეგ მიშამ SMS მომწერა: დიდი მადლობა. ვიწყებ მუშაობას თქვენი საკითხის მოსაგვარებლად“. მიშამ დაგვაკავშირა ბარაკ ობამას თანაშემწესთან ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში ევროპული ურთიერთობების დირექტორთან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. მისი გვარია კუპჩინი. ჩვენს თხოვნაზე კუპჩინმა თქვა: კარგი, ჩვენ დაგეხმარებით ან ფინანსურად ან იარაღით. ჩვენს ელჩს კიევში გადაეცით სია, რაც თქვენ გჭირდებათ, მერე დავსხდებით და განვიხილავთ“. მიშასთან კიდევ რამდენჯერმე ვისაუბრე და როგორც მივხვდი, მისი შესაძლებლობები არცთუ ისე ფართო ყოფილა, ვფიქრობ, ვაშინგტონისთვის მაინც „შესტიორკას“ როლს ასრულებს... მაკკეინმა ასე გვითხრა: „მოხარული ვარ, რომ დაგვირეკეთ, შევეცდებით, დაგეხმაროთ. სამწუხაროდ, ობამა თქვენთვის ძალიან ცოტას აკეთებს, მაგრამ რას იზამ, ასეთი კაცია, ობამა ობამაა. ჩვენ იძულებულები ვართ, მისი პრეზიდენტობა რამდენიმე წელი ვითმინოთ, უკვე ყელში ამოგვივიდა... მაგრამ თქვენ ნუ ღელავთ, მის გარეშეც ყველაფერს გავაკეთებთ“. სულ ეს იყო. მიშამ კუპჩინთან დაგვაკავშირა, კუპჩინმა კი კიევში არსებული აშშ-ის საელჩოს საშუალებით გენერალ კევინ მაკილთან, რომელიც თითქოსდა უკრაინისთვის იარაღის მიწოდების საკითხებს კურირებდა. ასე რომ, საუბრების ჯაჭვს მიშამ შეუწყო ხელი, ისე, რომ თვითონაც არ იცოდა ამის შესახებ. ბოლო საუბრის დროს მთხოვა ხელი მომეწერა მის მიერ ინტერპოლის სახელზე დაწერილი თხოვნისადმი, რომ იგი საერთაშორისო ძებნაში არ გამოეცხადებინათ. როცა ცნობილი გახდა, რომ ეს ყველაფერი გათამაშება იყო, სააკაშვილის თანაშემწე ქალმა დამირეკა, მითხრა, რომ არსენ ავაქოვი საქმის კურსშია და დამემუქრა რომ ყველა ამ

სააკაშვილი საზღვარგარეთ სამკურნალოდ კი არა, დაუყოვნებლივ კარცერში უნდა იქნას გადაყვანილი

5 გვ.

— ალბათ, ერთი ქართული ნიურნბერგის პროცესი აქაც უნდა მოეწყოს?

— დაუსჯელობის სინდრომი ყველაზე ცუდი რამაა. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, როგორი ზეწოლა მიდის **პირადად ბიძინა ივანიშვილზე, ირაკლი ღარიბაშვილზე და ა.შ. ბევრს არ სჯეროდა, როგორ შეიძლებოდა ადამიანისთვის შვეიცარიის ბანკში ანგარიშები გაეყინათ. ვამბობდით: ამას როგორ იკადრებენო, მაგრამ ხომ იკადრეს. ამიტომ მესმის, თავის დროზე რატომ ვერ მიუჩინა თავისი ადგილი ივანიშვილმა ნაცებს — არავინ იცის, ასეთ შემთხვევაში რას მოიმოქმედებდნენ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.** ხომ ხედავთ, როგორ გვემუქრებიან: ტანკებით გადაგივლითო. ყოველთვის არსებობდა ისეთი სადამსჯელო რაზმები, რომლებიც მუდმივად მზად იყვნენ ქვეყნის ასაოხრებლად. ისედაც გადარჩენილები ვართ, უკრაინის მსგავსი პროცესები ჩვენთანაც რომ არ განვითარდა. საქართველოს 2008 წლის ომი ჟურნალი იყო და კინო უკრაინაში გაგრძელდა. ამიტომ აბსოლუტურად ვიაზრებ, რატომ ვერ მიუჩინა ადგილი ნაცებს „ქართულმა ოცნებამ“. ეს მაშინ ვერ მოხერხდა, მაგრამ ახლა ხალხიც დაბრძენდა, ყველამ დაინახა, სააკაშვილი რას წარმოადგენს და ვფიქრობ, დადგა დრო, ყველაფერს თავის სახელი დაერქვას.

— თქვენ იყავით ერთ-ერთი ორგანიზატორი აქციისა: არა — მიშას შეწყალებას! რა მოლოდინი გაქვთ პრეზიდენტისგან?

— დიახ, ეს რამდენიმე საათში ორგანიზებული, სპონტანური აქცია იყო, რა დროსაც უამრავი ადამიანი შეიკრიბა. ხალხს არაფერი დავიწყებია, მუდმივად მზად არის, საკუთარი ღირსება კბილებით დაიცვას. იქ ვნახე ქალბატონები, რომელთაც ერთი კი არა ორ-ორი შვილი მოუკლეს. სხვათა შორის, ისინი სალომეს ამომრჩევლები არიან. კარგია, რომ პრეზიდენტმა თავის ამომრჩეველს თვალებში ჩახედა. თუმცა იგი აბსოლუტურად არაადეკვატური იყო. მე მართლა მეგონა, რომ ზურაბიშვილი ხალხთან გოზინაყით გამოვიდოდა და შობა-ახალ წელს მიულოცავდა, მაგრამ რაც მოხდა, თქვენც ნახეთ. ფაქტია, რომ რაღაცაზე ნერვიულობდა — თურმე სტუმრად სანდრა რულოვსი ჰყავდა. აი, ეს არის, სამწუხაროდ, ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტის სახე, რომელიც თავის ამომრჩეველს ეუბნება: რას მომივარდით აქო. ეს აქცია ძალიან კარგი გამაფრთხილებელი სიგნალი იყო — ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ოდესმე ხალხის ნების წინააღმდეგ ნაბიჯის გადადგმას გაბედავს, აეროპორტამდეც ვერ მიასწრებს. ხალხის რისხვას ჯერ ვერავინ გაექცა. ამას ყველა უნდა უფრთხოდეს, მათ შორის, პრეზიდენტიც.

— რას მოელით სასამართლო პროცესებისგან. თქვენი აზრით, მიშასთვის სასჯელის გადავადებას რა მოჰყვება?

— სამოქალაქო დაპირისპირება. ამას ვერავინ აიტანს. ვფიქრობ, ასე არ მოხდება. სააკაშვილს სასჯელი უნდა გაუათმაგონ, მისი ადგილი კარცერშია.

— ევროსაბჭოს რეზოლუციების აბსურდის თეატრზეც ვისაუბროთ. რას ფიქრობთ, მიშას ციხიდან დასახსნელად გაერთიანებულ აშშ-სა და ევროსტრუქტურების ჩართულობაზე?

— მათ მიაღწიეს ერთ ძალიან ცუდს რამეს — მსოფლიოს უთხრეს, რომ უკრაინა იჩაგრება და უნდა დავეხმაროთ. პრაქტიკულად, უკრაინის ბედი გადაწყვეტილია. **დღეს უკვე შემიძლია გითხრათ, რომ უკრაინა დამარცხდა, რადგან სტრატეგიული წერტილები აღებულია.** მეტიც, უკრაინელები, მილიონობით ადამიანი, უსახლკაროდ დარჩა, განადგურდა ხალხი, ქვეყანა, რომელიც ამ შეხმატკბილებულ პრორუსულ თამაშს გადაჰყვა. 2008 წელს მცირემასშტაბიანი გენერალური რეპეტიცია ჩატარდა, რასაც უკრაინის ომი მოჰყვა. დღეს ევროპა დაკნინებულია, ენერგოკრიზისი მძვინვარებს, ქუჩები არ ნათდება, საშინელი სიცივეა, კაფეებში გათბობა აკრძალულია. ეს მათი არასწორი გამონათქვამების, მიდგომების შედეგია. დღეს იქ უმძიმესი ვითარებაა. მაგრამ ეს სპექტაკლი თავის ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება. სამწუხაროდ, ამ ლოგიკური დასასრულით ამერიკამ რუსეთი უფრო გააძლიერა. ძალიან საინტერესო სტატია გამოქვეყნდა ილონ მასკისა და პუტინის გარიგებაზე. მარცხი, რომელიც ამ ბოლო დღეებში უკრაინის ჯარმა განიცადა, როგორც ამბობენ, დაკავშირებულია იმასთან, რომ ის სატელიტური მიმღებები გაეთიშათ, რომელიც ილონ მასკის დადგმული იყო. დიდი თამაში მიდის. ილონ მასკზე ამერიკაში გამოძიება უკვე დაწყებულია. მან არჩევანი თავად გააკეთა — ბაიდენის მხარეს ყოფილიყო თუ პუტინის. ამ დროს, რეალურად, ეს ორი ზესახელმწიფო პროქსიომს აწარმოებს უკრაინაში და მას ორივე ერთნაირად ანადგურებს. არავის აინტერესებს, როგორ უნდა დადგეს ეს ქვეყანა ფეხზე. უკრაინა როგორც ქვეყანა, ძალიან მალე აღარ იარსებებს. საქართველოში უნდათ, ეს რეალობა თავს მოგვახვიონ. მეტიც, იმასაც კადრულობენ, რომ თავიანთი ძვირადმოყიდული უვარგისი იარაღის უკან დაბრუნებას გვთხოვენ. ამ სპექტაკლის რეჟისორი და შემოქმედი ოდესმე აუცილებლად დაისჯება, მაგრამ ლოკალურად ჩვენ შეგვიძლია, რომ იმ უნიჭო და გაყიდული მსახიობებისგან, რომლებიც ფარსში იღებენ მონაწილეობას, ბუნდღა აღარ დავტოვოთ. არ დაგვავიწყდეს, რომ მეორე ფრონტის თემა ისევ აქტუალურია. კასიანოვის განცხადებებიც ხომ ამის დასტურია. პირდაპირ დავალება აქვთ მიღებული, დააქციონ ჩვენი ქვეყანა.

— რაც შეეხება ევროპის, ამერიკის განცხადებებს, რომ სააკაშვილი და გვარამია პოლიტპატიმრები არიან და თუ მათ არ გავათავისუფლებთ, სტატუსს ვერ მივიღებთ. ეს რას ნიშნავს?

— ეს არის შანტაჟი, რასაც ჩვენი ქვეყანა არ უნდა წამოეგოს. საქართველო მედგრად იდგება ღირსების დასაცავად და მას ვერავინ მოერევა. სხვაგვარად, ვერც სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდებით და მხოლოდ იმ ტერიტორიად დავრჩებით, რომელიც ავღანური წამლის ამერიკაში გადასაზიდი სატრანზიტო გზა იქნება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

საუბარს **FBI**-ში გაგზავნიან. თუ კიდევ ერთხელ დარეკავთ, საქმე ჩვენს (ამერიკულ) სპეცსამსახურებთან გექნებათო...“ („მოსკოვსკი კომსოლოლეცი“)

ლუის რობერტსონი: „მე, როგორც ამერიკელს, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა სააკაშვილის რეჟიმის ბნელი მხარე, მრცხვენია, რომ ჩვენი სენატორები განაგრძობენ მის მხარდაჭერას.

სააკაშვილის მიცემას სამართალში შვიდი წელი დასჭირდა - მისი თვალთმაქცობისა და სიცრუის შვიდი წელი. შვიდი წელი, რომელთა განმავლობაშიც სენატორები ორივე პარტიიდან და ტაფტის უნივერსიტეტის დეკანი ჯეიმს სტავრიდისი ეფოფინებოდნენ სააკაშვილს. მაგრამ იმედია, რომ ლას-ვეგასის მსგავსად, შვიდიანი ბედნიერი რიცხვი აღმოჩნდება. რა უფლებით ვწერ ამ შვიდი წლის შესახებ? მე ჩემს თავზე გამოვცადე ეს შვიდი წელი.

2006 წლის ოქტომბერში, რუპერტ მერდოკის კორპორაციის „Newს ჩორპ"-ის დავალებით, მე ჩავედი საქართველოში, რათა მეხელმძღვანელა ტელეკომპანია „იმედისთვის" მისი აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე. ეს იყო საქართველოში ყველაზე პოპულარული და პატივცემული ტელევიზია. ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო აკონტროლებდა მედიასაშუალებებს, ჩვენ ძალ-ღონეს არ ვიშურებდით, რათა უზრუნველგვეყო „იმედის" დამოუკიდებლობა.

ჩემს კოლეგებთან ერთად მეც ტელევიზიის შენობაში ვიყავი 2007 წლის 7 ნოემბერს, როცა ის გაავერანეს სააკაშვილის ზონდერებმა, რომლებიც პარალელურად ახორციელებდნენ მისი ხელისუფლების გასაპროტესტებლად გამართული მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევას თბილისის ცენტრში. სახეზე ნიღბები ეკეთათ, რათა შეუძლებელი ყოფილიყო მათი ამოცნობა, ხელში კი **AK**-47 ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი ეკავათ, რომელიც ჩვენი რვა თვე-ნახევრის ორსული თანამშრომლის მუცელზე ჰქონდათ მიშვერილი. ის კი ჩანასახის პოზაში მოკუნტულიყო და ასე ცდილობდა ჯერ კიდევ დაუბადებელი შვილის დაცვას.

მე ვხედავდი, როგორ უმიზნებდნენ თავში ძირს მოკრუნჩხულ ახალგაზრდა თანამშრომელს, რომელსაც ხელები სახეზე აეფარებინა იმ იმედით, რომ თავში არ ესროდნენ. მობილური ტელეფონები ჩამოგვართვეს და დაამზიანეს თანამშრომელთა კომპიუტერები. მაშ, როგორ და რატომ ხდება ასეთი რამ? ვინ გასცემს კერძო ტელევიზიის დარბევისა და მისი თანამშრომლების მძევლად აყვანის ბრძანებას?

ქვეყანაში, რომლის მოსახლეობაც ხუთ მილიონზე ნაკლებია, მხოლოდ ერთ ადამიანს - პრეზიდენტ სააკაშვილს ჰქონდა ძალაუფლება, გაეცა ასეთი დარბევის ბრძანება“.

ახალ ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კანონის უზენაესობის დამკვიდრება.

სააკაშვილი მოვიდა ძალაუფლებაში „ვარდების რევოლუციის" დროს, მაგრამ შვიდი წლის შემდეგ ვარდს ფოთლები საბოლოოდ შემოახმა. სენატორები შაჰინი, რუბიო და რიში, ალბათ, დააბრმავა სააკაშვილის უკომპრომისო რიტორიკამ პუტინის წინააღმდეგ. მათ გამოეპარათ ის ფაქტი, რომ სააკაშვილი ადამიანის უფლებათა სერიული დამრღვევი იყო, რომელიც ზედამხედველობდა ციხეში სისტემატურ წამებას და მიწასთან ასწორებდა თავისუფალ პრესას.

იმედია, რომ დღეს, როცა სააკაშვილი სამართალში მისცეს, ეს სენატორები ხელახლა განიხილავენ თავიანთ პოზიციას მასზე. ჩვენმა ლიდერებმა უნდა გაავრცელონ მკაფიო გზავნილი, რომ ჩვენთვის მიუღებელია ასეთი ტირანული ქცევა, თუნდაც ეგრეთ წოდებული მოკავშირეებისგან.

მაკკეინმა „წერილი წაიღო“, დანარჩენი კი, იოცნებოს ლუის რობერტსონმა, რომ ვინმე გონზე მოვა...

არცთუ ძნელია პასუხის გაცემა კითხვაზე: რატომ უჭერდნენ და უჭერენ მხარს ამერიკელი სენატორები (ცალკეული) ქართველ ტირანს, მაგრამ რა აზრი აქვს ამას?

სანამ არ შევიგნებთ, რომ ჩვენი თავი ჩვენ არ გვეკუთვნის და ასე გაგრძელება წარმოუდგენელია, ვივლით ასე უთავოდ და ყველა ყველაფერს გაგვიბედავს...

ზურაბ ოუხერელი

„გვქონდეს ეს არაფრისმაქნისი მშვიდობა მსოფლიოსგან სადღაც მიგდებულებს“



ორი ამბავი მაქვს თქვენთვის. ორივე ისეთია, ზოგს გაეცინება, ზოგი ცრემლად დაიღვრება, მესამენი — გაიბერებიან და ნათლისღების დადგომისთანავე ტკაცან-ტკუცუნით გასკდებიან.

პირველი — გავიგე, რომ სააგენტო **Resonance**-ს კვლევის თანახმად, 2023 წლის მსოფლიოს საუკეთესო ქალაქების ტოპ-ხუთეულში კიევი ჩაეწერა. ცრუ ინფორმაციაა თუ სინამდვილე, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან არც მოულოდნელი იქნება მართლა ასეც რომ იყოს და არც გასაკვირი — დღეს თუ „ფეიკია“, ხვალ რეალობა შეიძლება გახდეს. ამიტომ მოკლედ მოვჭრი — კეთილი და პატიოსანი!

დადასტურებამდე, გადავქექე ყველაფერი, მაგრამ ვერსად მივაგენი, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ქალაქი, რომ მსოფლიო ქალაქებს დაუწყოს ტოპ-ხუთეულში მოსახვედრად შეცილებ-მოცილეობა.

ჯანდაბას, ჩემით გავატოკებ თავს-მეთქი და ამტკივდაღა. აბა, თქვენც გაატოკეთ და თუ ჩასწვდეთ ამ და სხვა გაუკულმართების არსს, ნუ დაიზარებთ, ჩვენც გაგვაგებინეთ. მე კი, ჩემის მხრივ, იმას ვიტყვი, რომ ამ ინფორმაციამ ჯერ გამაოგნა, შემდეგ სევდიანად გამაღიმა, ბოლოს კი — ჩამაფიქრა. რა სახის მსოფლიო გაუკულმართებასთან გვაქვს საქმე, რა წამოიწყეს და რატომ, რას ემსახურება ეს ყველაფერი, თეთრზე შავის ძახილი და ბეჭდის დასმა?

წვრილ-წვრილად და, საკუთარ სამშობლოში კაი ხანია, მოვიხადე გაოგნების სენი — შეფასების კრიტერიუმების საყოველთაო გაბახება და თავდაყირა დაყენება ყველა მიმართულებით. ამ საახალწლოდ კი, ერთ კვირაში ორჯერ გავოგნდი.

კიევი რომ მსოფლიო ქალაქების ტოპ-ხუთეულში „ჩადეს“, უკვე ნობელის პრემიასაც ვხედავ მშვიდობის დარგში ზელენსკისთვის, მის გმირობაზე ფილმების ცვენას „ჰოლივუდში“, მაგრამ თბილისის მერს, კახა კალაძეს რა ვუყო, ხომ არის გასალანძღი?!

ეს რა ოკუპანტური გამოხდომა იყო „თბილისი — მშვიდობის ქალაქი“, კიევში ომია და ჩვენ მშვიდობა რატომ უნდა გვქონდეს, სულაც — მშვიდობა ვჭამოთ?!

თბილისი ისე ააოხრა, აღა მაჰმად ხანი ნერვიულადღა ექაჩება ჩილიმს — რა უნდა რომელიმე ქვეყნის დედაქალაქში სკვერებს? რა სიმწვანე და „მწვანე ქალაქი“ აუტყდა — ქალაქი იმიტომ ჰქვია, რომ იქ მხოლოდ ბეტონის უსახური შენობები უნდა იდგეს და ასფალტს ბუღი ასდიოდეს.

ან რა გადასასვლელებს ხაზავს უაზროდ და შუქნიშნებს აყენებს. რა მისი საქმეა, ვინ სად გადავა? მივიჩქარი სადღაც და სადაც მინდა, გადავირბენ და გადმოვირბენ!

ან ეს რა მაიმუნობაა, გაუკაშკაშებია საახალწლოდ თბილისი! კარგი, უფუჭდებოდა საახალწლო განათებების აქსესუარები და გადაყრას განათება ამჯობინა, მაგრამ ვინ გაანათა ასე თავისი დედაქალაქი, სადაა ევროპელობა, რა ხამობაა? ფლანგავს დენს და მერე ჩვენი ჯიბიდან ამოიღებს, რა ენაღვლება!

ახალ წელს მაინც შეეკავებინა თავი, ეს რა დაგვაბედა?!

ვინ ეხვეწებოდა, რომ გამოვიდა და მოგვილოცა ახალი წელი, ისე რა, ძველი ვერ წავიდოდა და ვერც ახალი წელი დადგებოდა?

ამხელა კაცია, რა მთავარი ნაძვისხის ანთება მოუნდა, არ რცხვენია? დაჯექი სახლში და საკუთარ ნაძვისხეს თუ გინდა, სულ სული უბერე ოცდასამ დათვლაში!

მერე კიდევ, ვითომ არ ჰქონდა ნანახი რააა, დაიწყო საახალწლო სოფლების დათვალიერება, სადაც პატარებთან ერთად მათი მშობლებიც ხარობდნენ, ახალგაზრდებიც და მოხუცებიც — ეს რა მეტიკვნიტობაა? მე მივხვდი, „რუსული სოფლის“ ნახვა უნდოდა, შუათანა „მატრიოშკასთან“ პელმენის მირთმევა ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ მადამ პრეზიდენტს აუორთქლებია მთელი „რუსული სოფელი“, ორბელიანების სასახლის წინ რომ გამოუჭიმეს და რომ ვეღარ პოულობდა, იმიტომ დადიოდა აქეთ-იქით, ვითომ რაღაცებს ათვალიერებდა და თან ვითომ უხაროდა — ის ღიმილი მიხატული ჰქონდა, ხოლო თვალები იმიტომ უციმციმებდა, ჩუმად „ალბუციდს“ იწვეთებდა...

საახალწლო კონცერტზე რაღა უნდოდა? რაც მაგას ფული აქვს — აიღოს ბილეთი, გადაფრინდეს სადაც უნდა და დაესწროს, რომელ კონცერტსაც მოინდომებს, აქ რას გამოიჯგიმა?

ის რაღა იყო, ახალ წელს უფასო იქნება მგზავრობაო და თანაც ღამის სამ საათამდე იმოძრავებს ტრანსპორტიო — ანიავებს ქალაქის ბიუჯეტს. რა ენაღვლება!

ყველაფერი ცუდი და ეს რაღა იყო, საახალწლოდ კიდევ ერთ ოჯახს რომ გადასცა ბინა! მიექირავებინა მაინც, ეს უსასყიდლოდ გადაცემა რაღა მოიგონა, ხილულად ვერ ახერხებს და ასეთი ხრიკებით უნდა, გულები დაუხეთქოს ყველას, ზოგს სიხარულით და ზოგს ბოღმით?

ეს ყინვა და თოვლი რაღას მოიყვანა? ვინ გაიგონა იანვრის დასაწყისში ნამდვილი თოვლი, ხელოვნური მაინც დაეყარათ, მაგრამ არა! მაგას მარტო ვერ შეძლებდა, ბიძინა ივანიშვილის ხელი ურევია ნამდვილად — რუსეთს ასიამოვნეს!

მოკლედ, რა�ა, დედაქალაქის ასეთი უსაქმური და ავზნიანი მერი გაგონილა?

ქალაქის მერი ვიცი მე ვიტალი კლიჩკო!

გამოვიდა კაცი პატიოსნად და მოახსენა მოსახლეობას ადამიანურად:

საახალწლო ნაძვისხის გაბრდღვიალებას არ ელოდოთო;

ნაძვისხე კი არა, გაურკვეველი ვადით სიტყვა „დენი“ დაივიწყეთო;

საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ გამაგონოთ, თუ ვინმეს გადაადგილება გინდათ, გაისარჯეთ თქვენით, იარეთ ფეხით, გათბებით კიდეცო;

აბა, მე რა გიყოთ, გათბობა და წყალი რამდენიმე თვე არ იქნებაო;

პური დეფიციტი რომ არის კიევში, კი იცითო;

თუ რამე მოგეძევებათ, საახალწლო სუფრა სჯობს, სრდაფში გაშალოთ, რადგან დედაქალაქის მასირებული დაბომბვებია მოსალოდნელიო;

ვაბშეტა, მილიონამდე კიეველმა უკვე დატოვა კიევიო...

კიდევ ბევრი კარგი რამეები თქვა...

კახა კალაძე, გაიგონე რა „სპორტია“?

ამ კალაძეს ეს ხელისუფლება უნდა ჩამოამხო თავზე თავის ირაკლი ღარიბაშვილიანად!

დამდგარან და ომი არ უნდათ, ჩაბღაუჭებიან მშვიდობას!

ჰოდა, ვიყოთ ახლა ასე, გვქონდეს ეს არაფრისმაქნისი მშვიდობა ყველაფერ ზემოთ ჩამოთვლილთან და ორკვირიან აუღებელ სუფრასთან ერთად, მსოფლიოსგან სადღაც მიგდებულები. რა გახდა რუსეთის ერთი გადმოშხუილება, სულ 6 რაკეტა გვინდა, მეტი კი არა: თელავი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი და თბილისში ორი — ტოპ-ხუთეულში პირველ ადგილზე გავალთ. უბრალოდ, ვეღარ გავიგებთ, ამიტომ წინსწრებით ვიქნებით ბედნიერები და ამაყები...

ეს ჩვენის სომეხ-ყაზახ-უკრაინელი ქართველისებრი რომ არაფერში გამოადგა ქვეყანას, თორემ სად იყო კიევი, ჩვენ რომ გადასარევი შანსი გვქონდა 2008 წელს? ჯერ ხომ ჰალსტუხს დაუკარგა ფუნქცია, მერე ცხვირით გათხარა ტიპმა წინაპრების სანახები და ხუთ დღეში ისეთი კაპიტულაცია მოგვიყომარა, 150 სოფელი ქვების გროვად მოგვაყარა...

რუსეთიც რა ჩუმჩუმელა ვირთხაა — რა მახათას მთა და 31-ე ქარხნის ასაფრენი ბილიკი აუტყდა, ეგლიჯა რა, აზრიანად! არაო, თქვენ მერე მსოფლიო ტოპ-ხუთეულში შეხვალთ, მე რა ხეირი, მოსკოვი დამეჩაგრებაო...

ზოგადად კი, მართლა ვერ გავიგე, მასხრად იგდებენ უკრაინას? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძველი ფოტო მაინც დაედოთ, ან ისეთი, რომ გალაღებული კიევი ჩანდეს, ან მეტ-ნაკლებად გალაღებული მაინც.

ეს სადარდებელი არ მქონდა მონელებული და კიდევ ერთი გზააბნეული ნაქართველარი გამოტყვრა უკრაინიდან, ვინმე ყარალაშვილი. გვარის გაგონებაზე ტიციან ტაბიძის ლექსი სიმღერად ამეკვიატა: „შილდაში მღერის დედას ლევანა და ართანაში ყარალაშვილიო“ და გამეცინა — გიგლო ყარალაშვილი (1844-1924) ვიცი, ვინც იყო, სამხედრო პირი, გენერალი, მომრერალი და ფოტოგრაფი, ვაჟას ძმობილი, მაგრამ ეს ვიღაც ნოდარ ყარალაშვილი ვინ ჩემის მახვილაა, ან ის ასკარიდა ჯაბა წულაძე?

გავიკითხე და ასუნტასი არ იყოს, არ ავაცდინე — კაცისმაგვარი ქართველისებრი, რომელიც ასე გვემუქრება, ამჟამად უკრაინული ლეგიონის „გალიჩინას“ მეთაური და პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერი ყოფილა. ასეც ვიცოდი!

2010 წელს კი გაუსკვანჩიათ თაღლითობის მუხლით და 7000-ლარიან ჯარიმასთან ერთად 11 წელიც მიუსჯიათ, მაგრამ შემდგომ გარდარეულის სიყვარულით შაჰყვარებია მიხეილ ქაქისროლია და მასთან ოდნავ გახახუნებული ყველაფერი და, ბიჯოს, 2013 წელს უმწიკვლოდ გათავისუფლებულა შეწყალების აქტის საფუძველზე, ნასამართლეობა გაუქარწყლა მავნებელმა

12 ბ.

სანქციების მსოფლიო ისტორია

როგორ უმკლავდება ჩრდილოეთი კორეა დასავლეთის მიერ გამოცხადებულ ბლოკადას

ჰაკერები და კრიპტოვალუტა

საბანკო არხების არარსებობის გამო საერთაშორისო ორგანიზაციებს ჩრდილოეთ კორეაში საკუთარი ანგარიშებიდან ვერ გააქვთ თანხები. გარდა ამისა, მათ ბევრი ნებართვა და ლიცენზია სჭირდებათ ჰუმანიტარული პროექტების განხორციელებისთვის.

საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადები ეჭრებათ, დარჩენილი თანხები კი მხოლოდ შინ დარჩენილი მრავალრიცხოვანი ოჯახების გამოკვებისთვის არის საკმარისი.

თავიდანვე ცნობილი იყო, რომ სანქციებით ძირითადი დატყმა ჩრდილოეთ კორეის ელიტას მიადგებოდა. ამ მიზნით გაერომ შეადგინა ფუფუნების საგნების სია, რომლების შეტანაც აკრძალულია კსდრ-ში: საიუველირო ნაწარმი, ოქროს საათები, სპორტული ავტომანქანები და თოვლმავალები. მიზანი მაღალი თანამდებობის პირებისთვის იმ ცხოვრების წართმევაა, რომელსაც მიჩვეული არიან. ეს ბელადის დადანაშაულებას გამოიწვევს და მის გადაყენებას მოინდომებენ.

ფხენიანში ფუფუნების საგნების ნაკლებობა არ იგრძნობა — ადგილობრივ მაღაზიებში შეიძლება ცნობილი ბრენდების ტანსაცმლისა და აქსესუარების, ფრანგული პარფიუმერიის, უცხოური სასმელის, საკვების და ტკბილეულის შეძენაც კი. კსდრ-ში ყველაფერი კონტრაბანდული გზით შედის, რაც სახელმწიფო მასშტაბებს აღწევს. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ის, რომ ჩრდილოკორეელი ლიდერი ლუქსის კლასის Mერცედეს-Bენზ-ითა და ღოლლს ღოყცე-თ აკვირვებს ყველას საზღვარგარეთული ვიზიტების დროს.

ექსპერტების მტკიცებით, სანქციებს არავითარი გავლენა არ მოუხდენია ელიტაზე. ამას ნათელყოფს კსდრ-სა და ჩინეთს შორის მგზავრთა გადაზიდვები, სადაც შეძლებული კორეელები ფუფუნების საგნებისა და ტექნოლოგიური სიახლეების შესაძენად მიდიან, ასევე საბინაო მშენებლობის ბუმი, რაც ჩინეთში მცხოვრები კორელებისა და ადგილობრივი ელიტის ინვესტიციების ხარჯზე ხორციელდება. ელიტის ცხოვრება უარესი არ გამხდარა, — ასკვნის ექსპერტი.

ელიტაზე ზეწოლის გარდა, სანქციების ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ კსდრ-ს შემოსავლების მიღების ყველა გზა მოუჭრან, რათა ბირთვულ იარაღზე მუშაობა ვეღარ შეძლოს. სანქციები ხშირად მოკლებულია ჯანსაღ აზრსა და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ექსპერტის განმარტებით, უჩვეულოდ გამოიყურება კსდრ-იდან ზღვის პროდუქტების გატანასა და სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე ქანდაკებების აგებაში ჩრდილოკორეელი მოქანდაკეების მონაწილეობაზე აკრძალვების დაწესება და ეჭვქვეშ აყენებს ქანდაკებების აგებასა და ზღვის პროდუქტების დამოუკიდებლად გაყიდვაზე აკრძალვების კანონიერებას.

სანქციური ჩიხი

საერთაშორისო თანამეგობრობის კოლოსალური ზეწოლის მიუხედავად, ჩრდილოკორეულმა რეჟიმმა არამარტო გაუძლო ზეწოლას, არამედ ბირთვული პოტენციალის ზრდასა და სარაკეტო პროგრამის განვითარებასაც განაგრძობს.

პირველი სანქციების შემოღების შემდეგ კსდრ-ში ხუთჯერ გამოსცადეს ბირთვული იარაღი, შექმნეს წყალბადის ბომბი და აპირებენ ორბიტაზე სადაზვერვო თანამგზავრის გაშვებას. 2022 წლის ექვს თვეში მათ ასზე მეტი რაკეტა გაუშვეს.

ჩრდილოეთ კორეის მდგრადობაში დიდი როლი ითამაშა ეკონომიკის მობილიზაციურმა ტიპმა, როდესაც ხელისუფლება ექსტრენულ ზომებს იღებს და ყველა რესურსს დასახული მიზნის მისაღწევად მიმართავს. ამ შემთხვევაში ეს სანქციებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ბირთვული პროგრამის განვითარებაა. ფხენიანმა გაუძლო სანქციებს და გადარჩა საზოგადოების კონფუციანური მოწყობის წყალობით, რომელიც უფროსების, მათ შორის, ბელადის პატივისცემისკენ მოუწოდებს. უფრო მეტიც, კსდრ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. ქვეყანას მენდელეევის სისტემაში არსებული ყველა ქიმიური ელემენტი აქვს, მათ შორის, ბირთვული პროგრამის განვითარებისთვის საჭირო მთავარი ნივთიერება ურანი, სსრკ-ის, რუსეთისა და ჩინეთის მიერ მხარდაჭერილი სამეცნიერო-სამრეწველო სფერო კი ბალისტიკური რაკეტების შექმნისა და დამზადების საშუალებას იძლევა.

მკაცრი იზოლაციის წლების განმავლობაში ჩრდილოეთი კორეა მსოფლიო ეკონომიკისგან თითქმის დამოუკიდებელი გახდა. ძირითადი ყურადღება ქვეყნის უსაფრთხოებაზეა მიმართული. ამასთან ერთად, ხელისუფლებამ გაატარა ეკონომიკური რეფორმები მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობის მიზნით — პანდემიამდე ქვეყანაში საბინაო მშენებლობის ბუმი იყო, აშენდა სამთო-სათხილამურო კურორტი, გასართობი პარკი და დელფინარიუმიც კი.

უცნაურია, რომ ქვეყანამ შეძლო პანდემიისთვის გაეძლო გარესამყაროსგან თითქმის მთლიანად იზოლირებულ მდგომარეობაში. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩრდილოეთი კორეა სამხედრო პოტენციალის ზრდას განაგრძობდა.

თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ჩრდილოეთმა კორეამ ისწავლა სანქციებისთვის გვერდის ავლა, აუცილებელი რესურსების მოპოვება და აღმოაჩინა შემოსავლების ალტერნატიული წყაროები, რომლებიც საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით არაკანონიერია.

გარემოებების გამო ჩრდილოეთკორეელები უფრო გამომგონებლები გახდნენ: არალეგალური ვაჭრობისთვის მრავალრიცხოვანი ფირმები დააარსეს; კონტრაბანდისტებს ქვეყანაში რეგულარულად შეაქვთ საქონელი „ბრმა ზონების“ გავლით; ხომალდები გამორთული ტრანსპონდერებით, ღია ზღვაში ცვლიან სანქცირებულ ნახშირსა და ნავთობპროდუქტებს.

უნდა ითქვას, რომ კსდრ დღეისათვის ბევრად არის დამოკიდებული თავის დასავლეთელ მეზობელზე: ჩინეთზე მოდის 90 პროცენტი იმპორტი და ექსპორტი. ჰუმანიტარული დახმარების დიდი ნაწილი ქვეყანაში ჩინეთიდან შედის.

სარაკეტო-ბირთვული პროგრამის განვითარებისთვის საჭირო თანხების მიღების მიზნით, კსდრ ბევრ რამეზეა წამსვლელი. შემოსავლების ერთ-ერთი გზა სანქციების გვერდის ავლით იარაღით ვაჭრობაა. 2017 წელს ეგვიპტელებმა დააკავეს რკინის მადნით დატვირთული ჩრდილოკორეული ხომალდი, რომელზეც 30 000 რუსული ყუმბარმტყორცნი და სამხედრო დანიშნულების დანადგარები აღმოაჩინეს. ეს იარაღის ერთ-ერთი უმსხვილესი პარტია იყო. კორეელი იარაღით მოვაჭრეების კლიენტები აფრიკული ქვეყნები: შორის სომალი, ერიტრეია და ეთიოპია.

მიუხედავად გაეროს ზეწოლისა, ისინი მაინც ახერხებენ იარაღის ემბარგოსთვის გვერდის ავლას.

ჰაკერები და კიბერდანაშაული

კიდევ ერთი არალეგალური შემოსავლების წყარო ჩრდილოეთი კორეის ხაზინისა — კიბერდანაშაულია. მიუხედავად დანარჩენი სამყაროსგან იზოლაციისა, კსდრ-მ ჰაკერების მთელი არმია გამოზარდა. რამდენიმე წლის განმავლობაში ისინი თავს ესხმოდნენ უცხოურ კამპანიებს და კინოსტუდიებსაც კი. ჩრდილოკორეელი ჰაკერების ყველაზე ხმაურიანი წარმატება შონყ Pიცტურე-ს სერვერების გატეხვა იყო, რომლის ფილმში მთავარი გმირები კიმ ჩენ ინს კლავენ. ამან აღაშფოთა კსდრ-ის ხელისუფლება. აშშ სამ ჩრდილოკორეელ ჰაკერს 1,3 მლრდ დოლარის მითვისებაში ედავება.

ბოლო დროს ჩრდილოეთკორეელი ჰაკერები კრიპტოვალუტით დაინტერესდნენ — მარტო 2021 წელს მათ კრიპტობირჟებიდან და კრიპტოვალუტის საინვესტიციო კომპანიებიდან 400 მლნ დოლარი მოიპარეს. გაეროში დარწმუნებულები არიან, რომ ეს თანხები ბირთვული და სარაკეტო პროგრამების დაფინანსებაზე იხარჯება.

ამასთან, კსდრ არამარტო იპარავს სხვების ბიტკოინებს, არამედ თავისი კრიპტოვალუტასაც ამაინინგებს, მით უმეტეს, ნახშირის სოლიდური მარაგი ქვეყანას იაფი ელექტროენერგიის წყაროდ ხდის. ჩრდილოეთი კორეის ინტერესი კრიპტოვალუტისადმი ადვილად აიხსნება: ფინანსური სანქციების გამო მას მყარ ვალუტაზე ხელი არ მიუწვდება. კრიპტობირჟების შემთხვევაში ეს პრობლემა არ არსებობს, ამასთან, კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული ტრანზაქციებისთვის თვალ-ყურის მიდევნება მნიშვნელოვნად რთულია, სანქციებისთვის გვერდის ავლა კი უფრო ადვილი. კრიპტოვალუტის წარმოებასა და გამოყენებაში კორეელებს კონსულტაციას უწევდა კრიპტოვალუტის დამნერგავი ვირჯილ გრიფიტი, რის გამოც ამერიკაში მას ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი.

დასავლური სანქციების არაქმედუნარიანობა გამოწვეულია არა იმით, რომ კსდრ მათ ადვილად უვლის გვერდს, არამედ იმ მიზნებში, რომელთა მიღწევაც მათ სურთ: ჩრდილოეთი კორეის ხელისუფლებამ შესანიშნავად იცის, რომ ბირთვული იარაღი დასავლეთთან დიალოგში მისი მთავარი კოზირია — მასზე უარის თქმა სანქციების მთლიანად მოხსნის სანაცვლოდაც კი თვითმკვლელობის ტოლფასია.

ექსპერტების თქმით, იმის იმედი, რომ სანქციები რამდენადმე იმოქმედებს კსდრ-ის რეჟიმის შეცვლაზე, მეტი რომ არ ვთქვათ, გულუბრყვილოა. იმის იმედად ყოფნა, რომ სანქციებით გადაღლილი ხალხი კინის ჩამოგდებას მოინდომებს, იმაზე მეტყველებს, რომ ჩრდილოეთი კორეის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოწყობაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. ეკონომიკური ზეწოლა იშვიათად არის ეფექტიანი ავტორიტარულ რეჟიმებთან დაკავშირებით.

სერიოზულმა გამოკვლევებმა, რომლებიც ჩრდილოეთკორეელი ემიგრანტების გამოკითხვების შედეგად ჩატარდა, გამოავლინეს, რომ ჩრდილოეთ კორეაში ოპოზიციისა ან დისიდენტობის გაჩენისთვის არანაირი ნიადაგი არ არსებობს.

სანქციების ზეწოლას სახელმწიფო იყენებს, რათა გააძლიეროს დასავლეთის, როგორც საძულველი მტრის ხატება და ერი გაამთლიანოს. ეს ხრიკი ჩრდილოეთკორეელებზე კარგად მუშაობს.

გამოდის, რომ სანქციების ეფექტი პირდაპირსაწინააღმდეგოა: ეკონომიკური ზეწოლა ფხენიანს აქეზებს, რომ განაგრძოს ბირთვული პროგრამა, რაშიც ის დასავლეთის აგრესიისგან საკუთარი დაცვას ხედავს, სანქციები კი პრობლემებს, პირველ რიგში, უბრალო ხალხს უქმნიან, რომლებიც, მიუხედავად ეკონომიკური სირთულეებისა და საბარათე სისტემისა, სულაც არ აპირებენ კიმ ჩენ ინის გადაყენებას.

მაგრამ ამერიკაში არ აღიარებენ, რომ შეცდომა დაუშვეს, როცა ჩრდილოეთი კორეის მიმართ ასეთი მკაცრი სანქციები დააწესეს. როცა ამერიკულ ისტებლიშმენტს ეუბნებიან, რომ სანქციები არ მუშაობს, ისინი ამბობენ, რომ სანქციები არასაკმარისია. სწორედ ამგვარად მოიქცა ამერიკა, როცა ჩრდილოეთ კორეამ კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა გაუშვა — კიდევ უფრო გააფართოვა სანქციები.

ექსპერტების თქმით, კსდრ-ის მიმართ სანქციებმა პოტენციალი ამოწურა, მხოლოდ სრული სათბობის ემბარგოს შემოღებაღა დარჩა. „ჩრდილოეთკორეული პრობლემის“ სამხედრო გზით გადაჭრა ძალიან სარისკოა — კსდრ-ის რაკეტები ლოს-ანჟელესამდე თუ ვერა, პერლ-ჰარბორამდე აუცილებლად მიაღწევს, ეს კი აშშ-ს ნამდვილად არ აწყობს.

რჩება მხოლოდ ერთი გზა — დიალოგი და თანამშრომლობა. ჩრდილოეთ კორეასთან საუბარი მხოლოდ იარაღის ორმხრივ შეზღუდვაზე შეიძლება. სანქციების ნაწილობრივი მოხსნა ამისათვის ნოყიერ ნიადაგს შექმნიდა. მაგრამ როდის იქნება მზად ამისათვის საერთაშორისო თანამეგობრობა, განსაკუთრებით კი აშშ — ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

სასტიკი რეჟიმის მსხვერპლთა მემორიალური დაფა ყველას დასანახად თბილისის პრესტიჟულ უბანში უნდა გამოვაკრათ

4 გვ.

საკმარისზე მეტი რესურსები აქვს იმისთვის, რომ საკუთარი სამხედრო ინფრასტრუქტურული სიმძლავრეები განავითაროს და უკრაინის ფრონტზე გლობალურ დასავლეთს დაუპირისპიროს. მიუხედავად იმისა, რომ კოგნიტური ომის შესაძლებლობებში რუსეთი გლობალურ დასავლეთს მნიშვნელოვნად ჩამორჩება, იგი ცოცხალი ძალით უკრაინის ფრონტზე მოწინააღმდეგის მიერ მობილიზირებულ ძალებს მაინც აჭარბებს. ახლა განსაკუთრებული აქცენტი მეორე ფრონტზე კეთდება, რომელიც ზამთრის სეზონზე ბელორუსიდან ნებისმიერ დღეს შეიძლება დაიწყოს და მიმართული იქნება შემდეგისკენ: აღმოსავლეთ უკრაინის გადაძაბულმა ფრონტმა დასავლეთ უკრაინაში გადაინაცვლოს და ომმა არა სპეციალური სამხედრო ოპერაციის სტატუსი, არამედ კონვენციური ომისთვის დამახასიათებელი სრულმასშტაბიანი სახე მიიღოს.

დასავლური ნეოლიბერალური იდეოლოგიის რეინკარნაცია იწყება...

— უკრაინაში სპეციალური სამხედრო ოპერაცია ფორმას, შინაარსს იცვლის და სრულმასშტაბიან ომად ტრანსფორმირდება. ომის ხელმძღვანელობას საკუთარ თავზე რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის ხელმძღვანელი, არმიის გენერალი გერასიმოვი იღებს. ასევე, მისი სამი მოადგილე, რომლებიც სამ ფრონტზე ინაწილებენ მთავარსარდლობას. პირველი ფრონტი გახლავთ სამხრეთი, ანუ ყირიმისა და ზაპოროჟიეს მიმართულება, რომელსაც რუსეთის არმიის ერთ-ერთი ელიტური, მსოფლიო სამხედრო ანალიტიკაში აღიარებული გენერალი, პროფესორი ალექსეი კიმი უხელმძღვანელებს; მეორე ფრონტს, ანუ დონბასის მიმართულებას სათავეში გენერალი სუროვიკინი ჩაუდგება, რომელიც აქამდე, მთლიანად სპეცოპერაციას ხელმძღვანელობდა; მესამე ფრონტი კი არის ბელორუსის მიმართულება, რომელსაც გენერალი სოლიუკოვი უხელმძღვანელებს. იგი რუსეთის ფედერაციის ქვეითთა არმიის ხელმძღვანელია, რომელიც უკვე 12 იანვარს ჩავიდა ბელორუსში. სოლიუკოვი ბელორუსიდან დასავლეთ უკრაინის მიმართულებით ახდენს ძალების მობილიზებას. რაც მთავარია, რუსეთის ფედერაციაში ამ დღეებში მოსალოდნელია მობილიზაციის მესამე ტალღის გამოცხადება, რის შემდეგაც ოპერატიული რეზერვი სრული შემადგენლობით მზად იქნება იმისთვის, რომ ფართომასშტაბიან ომში მიიღოს მონაწილეობა. საუბარია დამატებით მილიონ-ნახევრიან კონტინგენტზე. მოკლედ, რუსეთი სერიოზულად ემზადება არა სპეციალური სამხედრო ოპერაციის, არამედ ახალი სრულმასშტაბიანი ომისთვის. ამ ყველაფერზე მეტყველებს, ასევე, რუსეთის ფედერაციის ბირთვული ტრიადის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციამ უკვე საბრძოლო მოქმედებაში მოიყვანა ის ახალი ტექნოლოგიური სამხედრო პროდუქტები, რაზეც დასავლური პრესა წერდა, რომ ეს მხოლოდ ბლეფია და სინამდვილეში, არავითარი ცხრა „მახის“ სიჩქარის მქონე რაკეტები რუსეთს არ გააჩნია. თუმცა, როგორც ჩანს, საფრთხე რეალურია — შავ ზღვაში რამდენიმე ხომალდი საბრძოლო პოზიციებზე უკვე გავიდა. შედეგად, უნდა ველოდოთ, რომ ძალიან მალე უკრაინის მთელ ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები დაიწყება, რომლის მიზანი არ იქნება მხოლოდ ხარკოვის, კიევის, ზაპოროჟიეს ან რომელიმე სხვა ქალაქის ალყაში მოქცევა, არამედ ეს განსაკუთრებულ მასშტაბებს შეიძენს. სამხედრო ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მთავარი ამოსავალი წერტილი საბრძოლო მოქმედებების დასავლეთ უკრაინაში გადატანაა, რითაც მთლიანად მოხდება იმ საგზაო მონაკვეთების პარალიზება, საიდანაც დასავლეთიდან უკრაინის შეიარაღებული ძალები იარაღით უნდა მომარაგდეს. დასავლური პრესა ბევრს საუბრობს იმაზე, რომ უკრაინას უნდა გადაეცეს მძიმე საბრძოლო ტანკები, როგორც გერმანიიდან ისე ბრიტანეთიდან. ასევე, საუბარია უკრაინისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ტანკების, „ლეოპარდების“ გადაცემაზე, რომელსაც გერმანიის გარდა ნატოს წევრი სხვა სახელმწიფოებიც ფლობდნენ. რუსეთი, ამ შემთხვევაში, შეეცდება ახალ ლენდ-ლიზს დაასწროს და უკრაინის შეიარაღებული ძალების სრული პარალიზება და იზოლაცია მოახდინოს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ **ეს თავისი მასშტაბებით გამორჩეული სისხლისმღვრელი ომი იქნება, რომლის მიზანი დეუკრაინიზაცია, დენაციფიკაციაა**. ანუ, უკრაინის ყველა იმ ძალისგან დაცლა, რომელიც თავისი არსით სრულიად დასავლური ნეოლიბერალური იდეოლოგიის რეინკარნაციაა. დიახ, ეს იქნება იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო სპეციალური ფართომასშტაბიანი ოპერაცია მთელი უკრაინის მასშტაბით. ამ დღეებში რუსეთში მობილიზაცია გამოცხადდება და მისი დასრულებიდან ოთხ დღეში ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები დაიწყება.

სრული დენაციფიკაცია და ნეოლიბერალური პარადიგმის ამოძირკვის ჟამი

— ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გიული ალასანია რუხი კარდინალის, თემურ ალასანიას დაა. წლების განმავლობაში სწორედ ის იყო არაფორმალური მმართველი და პასუხისმგებელი იმაზე, რაც სააკაშვილის რეჟიმის დროს ხდებოდა. ამის შესაბამისად, ეს ადამიანი ბევრ ეჭვქვეშ მყოფ საქმეში ერია. ამ ადამიანს

ექსპერტებისგან მსგავს პროფანაციას არ ველოდი

ამერიკულ ლაბორატორიაში გამოკვლეული დაულუქავი ნიმუშები დაუშვებელი მტკიცებულებაა!

გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი:

— ქალბატონო მაია, სასამართლოზე ამერიკელმა ნევროლოგმა შაჰინ ლაჰანმა განაცხადა, რომ სააკაშვილს დემენცია, კრუნჩხვები აქვს და მისი საპატიმროში ყოფნა ამ დიაგნოზებთან შეუთავსებელია. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ?

— ჯანმრთელობის მდგომარეობის ექსპერტიზა ჩემი სამუშაო სფეროა. ჩვენი კანონმდებლობით დაშვებულია ნორმა, რაც დროებით სასჯელის გადავადებას ითვალისწინებს. სხვათა შორის, ეს კანონი ბევრ სხვა ქვეყანაში, მათ შორის, არც აშშ-ში არ მოქმედებს. როგორც წესი, სასჯელის გადავადება ერთი წლით და შემდგომ არსებით გაუმჯობესებამდე ხდება. ანუ, ერთი წლის მერე კვლავ ექსპერტიზა ტარდება და თუ მდგომარეობა გაუმჯობესებულია, პატიმარი სასჯელის მოხდას განაგრძობს. გარდა ამისა, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ პირს აღნიშნული შანსი ტყუილად არ მიეცა. სასჯელის გადავადებისთვის არსებობს პირობა — პატიმარს მძიმე დაავადება უნდა ჰქონდეს. დაავადებათა ჩამონათვალი ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით არის გაწერილი. ლაჰანს სასამართლოზე ჰკითხეს, სააკაშვილს დემენციის რომელი ხარისხი აქვსო. არსებობს დემენციის საწყისი, გამოხატული და ღრმა ფორმა. რომელი ფორმა აქვს მიშას, ეს არავის დაუზუსტებია. ექსპერტი სმიტი კი აცხადებდა: სააკაშვილი მძიმე მეტალებით არის მოწამლულიო. საბოლოოდ გაარკვიეს, რომ თურმე მოწამვლას ადგილი არ ჰქონია. ანუ, ვერცხლისწყალი ნორმას არ სცილდება. არადა, ყველაფერი მოწამვლაზე იყო აგებული. ეს ყველაფერი კარტის შულერობას მაგონებს. თუ მათ მიერ დასახელებული ნივთიერებები ნორმას არ აჭარბებს, ე.ი. მოწამვლაც არ გვაქვს. ვარაუდებით მტკიცება, პრეზიდენტი მოწამლესო, ეს ხომ სიგიჟე, შულერობაა. ამ ფონზე მით უმეტეს, არასერიოზულია იმის მტკიცება, რომ ტვინის ნივთიერებაში ცვლილებები მოწამვლით არის გამოწვეული. აღარაფერს ვამბობ დაუდასტურებელ გულყრებზე, რაზეც ექსპერტმა ლაჰანმა ისაუბრა. ახლახან ერთი ექსპერტიზა ჩავატარე პიროვნებაზე, რომელსაც სერიოზული ქალა-ტვინის ტრავმის შედეგად პოსტრავმული ეპილეფსია აქვს. მას ტვინის ნივთიერებაში ცვლილებები, გულყრები რეალურად აქვს დადგენილი ენცეფალოგრამით, ტომოგრაფიით და ა.შ. გულყრა შეიძლება თვეში 2-3-ჯერ გაუმეორდეს, მაგრამ ეს არ გახლავთ იმ ინტენსივობის და იმგვარი ხიფათის შემცველი, რომ გავბედო და დიაგნოზად მძიმე გულყრა ჩავუწერო. გულყრების ეს სიხშირე და ინტენსივობა ამის საფუძველს არ მაძლევს. იმ ადამიანს ციხის რეჟიმის შეცვლა სურდა და ექსპერტიზაც ამიტომ ჩატარდა. ექსპერტიზით იმის საფუძველიც კი არ მქონდა, მეთქვა: ჰაერზე ყოფნა მის მდგომარეობას გააუმჯობესებს და ღია ტიპის ციხეში გადაიყვანეთ-მეთქი. ეს ხალხი კი ასე უაპელაციოდ აბრახუნებს სიტყვებს — პრეზიდენტს გულყრები აქვსო. მე არ ვიცი, სააკაშვილს რა სჭირს. ეს უნდა დაასაბუთონ. ეს ექსპერტები დამაჯერებელ პასუხებსაც ვერ იძლევიან. კიდევ, ასეთი შემთხვევა მქონდა: ქალბატონს, რომელიც ძალადობის მსხვერპლი იყო, ქალა-ტვინის ტრავმა ჰქონდა, შემდეგ კი პოსტტრავმული ეპილეფსია განუვითარდა შეტევებით. იგი უცებ კარგავდა გონებას, რა დროსაც უნებლიე შარდვა და კუჭის მოქმედება ჰქონდა. ამ გულყრების შემსწრე უამრავი ადამიანი იყო. ეს ქალბატონი თბილისში სამ-ოთხ ეპილეფსიის ცენტრში მყავდა, რათა დიაგნოზის სიმძიმე დაგვედასტურებინა. ამის თაობაზე სამხარაულის ბიუროსთან ომი მქონდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ გულყრები მსუბუქია და ტრავმას არ უკავშირდება. არადა, ტრავმა დადასტურებულად ჰქონდა. სანამ სამ ეპილეპტოლოგთან არ მივედით, დიაგნოზის დადასტურება ვერ ხდებოდა. ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანე, რომ გაოგნებული ვარ, რასაც სააკაშვილის სასამართლოზე ვისმენ. პირდაპირ იძახიან: გულყრები აქვსო ისე რომ, არც უნახავთ. გონების კარგვა გულყრად შეაფასო, ეს საოცრებაა. გაოგნებული ვარ იმით, რასაც ვისმენ. დიახ, **უცხოელი ექსპერტების ბოდვებს რომ ვუსმენ, ღმერთს მადლობას ვუხდი იმისთვის, თუ რა კარგად შეგვინარჩუნებია სასამართლო ექსპერტიზა.** ისინი როდის მოვლენ ჩვენ დონემდე, არ ვიცი. ჩვენთან მეტი მოთხოვნა და ობიექტურობაა. ჩვენს ექსპერტებს უცხოელების მსგავსად რომ გაეყალბებინათ დასკვნები, ალბათ, ციხეში აღმოჩნდებოდნენ. უცხოელი ექსპერტები ურთიერთსაწინააღმდეგო რაღაცებს ამბობენ. ერთმა მათგანმა, საერთოდ, ისიც ვერ აღმოაჩინა, სად იყო ნორმაზე მეტი მომწამლავი ნივთიერება. შაჰინ ლაჰანი კი ყველაფერზე, რაც იცოდა და არ იცოდა, ნანახი ჰქონდა ან არ ჰქონდა, „დიახს“ გაიძახოდა. ამ კაცს ლექსიკონში სიტყვა „არა“ არ აქვს. ამერიკულ სასამართლო ექსპერტიზაზე მაღალი წარმოდგენის არასდროს ვყოფილვარ და ამათ რომ ვუსმენ, ეს რწმენა კიდევ უფრო გამიმყარდა. იქ სასამართლო მედიცინა ძლიერი არ არის, მაგრამ ასეთ პროფანაციას არ ველოდი. **არ ვიცი, რა ვიფიქრო — „ბანანის რესპუბლიკად“ ჩაგვთვალეს, ეგონათ: შავზე თეთრს იტყოდნენ და ეს გაუვიდოდათ, თუ მართლა ასეთი დაბალი დონისანი არიან!** თუ მათთან სასამართლო პროცესი ასე მიმდინარეობს, ეს, უბრალოდ, თაღლითობაა, რასაც, რატომღაც, სასამართლო ექსპერტიზას უწოდებენ. ჩვენთან ამას თაღლითობა და ყალბი დასკვნის გაცემა ჰქვია. საბედნიეროდ, ჩვენ შაჰინისა და სმიტის მსგავსი დაბალი დონის ექსპერტები არ გვყავს.

— ნობელიანტ კობიზე რას იტყვით, რომელმაც სააკაშვილს კახექსია დაუდგინა...

— კახექსიას თავისი მიზეზი აქვს, რაც ამ შემთხვევაში, უკვე გამოირიცხა. რამდენიმე დღის წინ ვუსმინე, როგორ მოხდა ფრჩხილების, თმის ნიმუშების აღება ქართული კანონმდებლობის სრული დარღვევით. **ამერიკულ ლაბორატორიაში ეს ნიმუშები დაულუქავი შევიდა, რითაც გაოცებული ვარ! ეს, საერთოდ, დაუშვებელი მტკიცებულებაა. დიახ, როცა ნიმუში კანონდარღვევით არის მოპოვებული, ის დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნევა და მასზე საერთოდ აღარ მსჯელობენ.** ამბობენ, სააკაშვილს ანორექსია და კახექსია აქვსო. ანორექსია ფსიქიატრების თემაა. გინახავთ კახექსიური პაციენტები? ისინი 35-40 კილომდე იწონიან და მერე მართლა იღუპებიან. რაც შეეხება ანორექსიას, ის ხანგრძლივი ფსიქიატრიული მკურნალობის გარეშე ძალიან რთული განსაკურნებელია. ამას დაემატა, როგორც დასაწყისში ვახსენეთ, დემენცია. კაცი წერილებს აშანშალებს — მიმართა მაკრონს, ბაიდენს, ბილ ბროუდერს, უკრაინელ ჟურნალისტს და ა.შ. უკრაინელებს ლამის ბრძოლის ველზე მიუძღვება, რჩევებს აძლევს. უცხოელი ექსპერტები კიდევ გაიძახიან: დემენცია აქვსო. სად ჩარჩა ეს ხალხი, ვგიჟდები. **ლაჰანს ეკითხებიან: იცოდით, აღნიშნული დაავადებები და ფსიქოტრავმები რომ ჰქონდაო. კიო, — თავი დაუქნია. შე დალოცვილო, ეს თუ იცოდი და დამალე, რა გამოდის, თაღლითი ხარ?!** თუ იცოდი, რომ მას ხუთი-ექვსი ფსიქოლოგიური ტრავმა ჰქონდა გადატანილი, ამასთანავე, მენინგოენცეფალიტი, ჰოლანდიაში, იქამდე, ამერიკაშიც, თურმე, ხანგრძლივად სიცხე ჰქონდა, არასტაბილური ვეგეტატიკა... ამის დამალვას რა ჰქვია? და თუ ეს ყველაფერი არ იცოდი, მაშინ დასკვნა უნდა შეცვალო, ხომ. მაგრამ იგი ამბობს: ყველაფერი ვიცოდიო. რა გამოდის? — ე.ი. თაღლითია და ყალბი დასკვნა დადო!!!

— დემენციის დიაგნოზს პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლებიც ეჭვქვეშ აყენებენ...

— მთელი საზოგადოება რატომღაც რაღაც სულელურ თამაშს ვთამაშობთ. რეალურად, სააკაშვილის პიროვნული თვისებები, მახასიათებლები, მისი იმპულსურობა ყველამ კარგად ვიცით, თუმცა ხმას არავინ იღებს. მისი კონცენტრირების უნარი ხომ ყოველთვის დაქვეითებული იყო. იცით, რა მიკვირს: ყველა თავს რატომ ვისულელებთ? უცებ, ვიღაც უცხო ადამიანებმა, რომელთაც სააკაშვილზე წარმოდგენა არ აქვთ, რაღაც დიაგნოზები დააბრეხვეს და ჩვენ ამაზე სერიოზულად ვმსჯელობთ: მართლა ასეა თუ არა! უცხოელებს მიშას შესახებ სათანადო ინფორმაცია ან არ მიაწოდეს ან მიაწოდეს და მათ ფეხებზე დაიკიდეს. როგორც ჩანს, მათ მიერ დადებული დასკვნები შეკვეთით დაიწერა და სიმართლეს არ შეეფერება. ამას სასამართლო პროცესებზე დაკვირვებიდან გამომდინარე ვამბობ. ზოგადად, ექსპერტები მეორე ექსპერტის დასკვნას არ ვაფასებთ. მაგრამ ამ უცხოელების ბოდიალს ექსპერტიზას ვერ დავარქმევ. ეს გახლავთ საკუთარი თავის და მერე საზოგადოების მასხრად აგდება. მათ სომალის მსგავსი ქვეყანა ვგონივართ, სადაც კარვებში მკურნალობენ ინფექციურ დაავადებებს. ასე თავიანთი გაუნათლებლობიდან და სიბნელიდან გამომდინარე ფიქრობენ. ექსპერტს კითხვა დაუსვეს: საქართველოში ტოქსიკოლოგიური ცენტრი რომ გვაქვს, თუ იციოთ. **სხვათა შორის, ეს კითხვა თარჯიმანმა არ თარგმნა. ეს სასამართლოს სერიოზული პრობლემაა — რატომ უნდა გყავდეს თარჯიმნად დაინტერესებული მხარის, ანუ ნაცების გულშემატკივარი პირი?!** ეს სირცხვილია. ან ის რა იყო, ჩართვის დროს ცისფერი სააკაშვილი რომ ჩანდა ლურჯწვერასავით. მეტი სერიოზულობაა საჭირო.

— ქალბატონო მაია, „ემპათიის“ და ლომჯარიას კონსილიუმის დიაგნოზებზე რას გვეტყვით? ასევე, იმ 36 დაავადებაზე, რაც სააკაშვილს აღმოუჩინეს?

— 36 დაავადებაში იცით ლაჰანს რა უწერია? — ის, რომ მიშა მწეველია, ფერმკრთალია და თურმე პატიმარია. ეს „დიაგნოზები“ რომ მოვისმინე, გავოგნდი. ასეთ 36 დაავადებაზე თუ საუბრობენ, ყოჩაღ მათ. რაც შეეხება ლომჯარიას, ძალიან პოლიტიზებული იყო. მადლობა ღმერთს, თანამდებობას აღარ იკავებს. მე მას ომბუდსმენს არც ვუწოდებდი. ბუნებრივია, ციხეში მყოფ პირებთან ურთიერთობა მიწევს. არცერთ მათგანს სახალხო დამცველისგან არასდროს მიუღია რაიმე ტიპის დახმარება. ეს ადამიანი პატიმრებს პოლიტიკური ნიშნით განასხვავებდა. ის, განსაკუთრებით ბოლო დროს, ჩამოყალიბებული ოპოზიციონერი იყო. სახალხო დამცველი რომ იყო, პატიმრები მას ვერ იტანდნენ. **სახალხო დამც-**

12 გვ.



ამერიკულ ლაბორატორიაში გამოკვლეული დაულუქავი ნიმუშები, დაუშვებელი მტკიცებულებაა!

11 გვ.

ველმა, რომელსაც ციხე აგინებს, იმ დღესვე უნდა დაწეროს განცხადება და გადადგეს. თუ ციხე სახალხო დამცველს არ იღებს, ეს უკვე განაჩენია. რაც შეეხება კონსილიუმს, სამწუხაროდ, დღეს მედიცინა საკმაოდ პოლიტიზებულია, რაც დაუშვებელია. ეს დანაშაულია. „ემპათიის“ ობიექტურობაზე რა უნდა ვთქვა. ბაჩალეიშვილის, შაქარაშვილის საქმეზე იგი მხარე იყო, თან გავეშებული, სააკაშვილივით იმპულსური. რაზე ვილაპარაკო, როცა ჯიშკარიანი სიტყვა „წამებას“ ხანჯალივით იქნევს. სასამართლო სამედიცინო ექსპერტებს პირდაპირ გვიწერია, რომ ჩვენ წამების კვალიფიკაციის უფლება არ გვაქვს. ეს სამართალდამცავებისა და სასამართლოს შესაფასებელია. ჯიშკარიანი ამ უმთავრეს პოსტულატს არღვევს. ჩემი აზრით, სააკაშვილთან მიმათებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩატარებულა. როგორ შეაფასებს მოსამართლე იმას, რაც საქართველოს კანონმდებლობაში არ ჯდება, არ ვიცი. გარდა ამისა, გამოქვეყნდა სააკაშვილის კადრები, სადაც ბევრი საინტერესო რამ ჩანს, ბევრიც გასაკვირი. **თუ მოსამართლემ სიმულაცია არ გამოირიცხა, როგორ უნდა დაადგინოს, მძიმეა თუ არა სააკაშვილის მდგომარეობა?!** ზოგჯერ ქართულ სასამართლო მედიცინას ვემდური. თუმცა, საბედნიეროდ, რასაც მე ვემდური, ისიც კი ასი თავით მაღლა დგას, ვიდრე ოკეანის გაღმელების ექსპერტიზა. სახელმწიფო და არასახელმწიფო ექსპერტს ერთნაირი ვალდებულება რომ აქვს, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. ჯიშკარიანს სწორედ ის უნდა, რომ ცოცხალ პირთა ექსპერტიზა არ არსებობდეს ისევე, როგორც ამერიკაშია და ნებისმიერ ექიმს ბოდიალის, ანუ სიყალბის უფლება ჰქონდეს.

— პენიტენციურმა სამსახურმა მოითხოვა, სააკაშვილი დამოუკიდებელ ექსპერტებს: ალექსანდრე გეჯაძეს, თქვენ და სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დამატებით გამოგეკვლიათ. ხაჭაპურიძემ თქვენზე განაცხადა: მაია ნიკოლეიშვილი მიშას პირადი მტერიაო. ამ „ბრალდებაზე“ რას გვეტყვით?

— შალვა ხაჭაპურიძე ძალიან უტაქტოდ მოიქცა. ეს ისტერიული გამოხდომა იყო. კარგი იურისტობა საკმარისი არ ყოფილა. მან კარგად იცის, ხელთ რა დასკვნაც უჭირავს, რადგან მცოდნე იურისტია. აქედან გამომდინარე, ხაჭაპურიძემ იცის: თუ ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისი, ნამდვილი ექსპერტიზა ჩატარდება, სულ სხვა რეალობა დადგება, ამიტომ ყველაფერზე მიდის. მან საკუთარი სისხლის სამართლის დანაშაულზე ხმამაღლა განაცხადა: ჩემი მეგობარი ალეკო გეჯაძე ფარულად ჩავწერეო. ამას ამბობს მეგობარზე. უკანონო ჩაწერა დანაშაულია. რაც შეეხება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით ჩემს დაპატიმრებას, ხაჭაპურიძემ მშვენივრად იცის, რომ ამაზე გამოძიება ჩატარდა და ჩვენი სრული რეაბილიტაცია მოხდა, ყველანი, აბსოლუტურად, გავმართლდით. ხაჭაპურიძემ ხომ იცის, რომ მე არავის წინააღმდეგ ჩვენება არ მიმიცია — მხოლოდ ის ვაღიარე, რაც დაკავების შემდეგ დამიწერეს. აი, ასეთი უსინდისობები იკადრა შალვამ. როცა ხელისუფლება შეიცვალა, პროკურატურას მივმართე და ვუთხარი, რომ ჩემი ჩვენება იძულებითი იყო. რაც შეეხება სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადებას, ჯერჯერობით, რასაც ვაკვირდები, დადგენილი არაფერია. წარმოდგენა არ მაქვს, საიდან მოიტანეს მსგავსი დიაგნოზები, ყველაფერს ასე დაუსაბუთებლად რატომ აკეთებენ. ვერ გეტყვით, საფუძველი არ აქვთ და იმიტომ ვერ წერენ რეალურ დიაგნოზს, თუ ასე აწყობთ. შესაძლოა, ანორექსიისა და ფსიქიატრიული პრობლემებისკენ საქმის წაყვანა არ უნდოდათ. ამიტომ ისეთ დაავადებებზე გააკეთეს გათვლა, რაც სააკაშვილის ავტორიტეტს ან პოლიტიკურ მომავალს ნაკლებად შებღალავდა. დეპრესია და შფოთვითი აშლილობა კი დიაგნოზში არავის გამოაქვს. რატომ?!

— გიული ალასანიამ განაცხადა: ყველას მიეზღვება, ვინც მიშას წამლავს, აწამებს და ციხეში უკანონოდ ჩასვაო...

— ანუ, ჩვენ ყველას სიზმარი გვაქვს ნანახი, რომ სააკაშვილმა საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა?! საზღვრის უკანონო კვეთა უკანონო პატიმრობაა?! — ამაზე რა კომენტარი გავაკეთო. გიული ალასანია უამრავ ადამიანს ემუქრება. მას არ ეპატიება, რომ ასეთი ფსიქოტიპის პრობლემური ადამიანი პოლიტიკაში მოუშვა. დედები ხშირად ამბობენ: ჩემი შვილი სუსტია, ჯარში ვერ წავაო. გიული და თემურ ალასანიებმა განა არ იცოდნენ, რომ მისი ფსიქიკა ამას ვერ გაუძლებდა?! იცოდნენ, მაგრამ საკუთარ შვილს, დისშვილს ექსპლუატაციას უწევდნენ, რაც ამორალურობაა.

— სააკაშვილის სიაში უკვე 15 ადამიანია, ვინც თურმე მისდამი არაადამიანურ მოპყრობაში მონაწილეობდა...

— გახსოვთ, ზუსტად ამ დროს, შარშან იანვარში ნაცები შავ სიებს ადგენდნენ. ახლა მაგნიტსკის სიები მოინდომეს, გაისად წითელი ან ნარინჯისფერი სიები ექნებათ და ა.შ. ისინი ყველაფერზე წავლენ. საოცარია, რომ 9-წლიანი რეჟიმის ავტორები აქეთ ჩვენ გვემუქრებიან და წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში გვადანაშაულებენ.

— ეს იმის ბრალიც ხომ არ არის, რომ თავის დროზე რეჟიმი არ გასამართლდა?

— რა თქმა უნდა. მაგალითისთვის გეტყვით: დამირეკა ტელევიზიამ, რომელსაც ვუთხარი, რომ ცრუ ინფორმაციის გავრცელების გამო ინტერვიუს არ მივცემდი. სახლიდან გავედი და კარებთან დამხვდნენ დადარაჯებულნი, დამდევდნენ და მოსვენებას არ მაძლევდნენ. ეს ხომ დევნაა და ამის შესაბამისი მუხლიც არსებობს. ეს ექსპერტზე ზეწოლა, ბულინგია. შალვამაც იგივე გააკეთა ალექსანდრე გეჯაძის მიმართ. სამხარაულის ბიუროს უფროსსაც ასე დასდევდნენ. სამი საექსპერტო დაწესებულებაა სქართველოში და სამივე დააბულინგეს. ამაზე რეაგირება არ უნდა მოხდეს? სახელმწიფომ, პრაქტიკულად, ნაცებს დანაშაულები აპატია. კი, ბატონო, მათ აპატია, მაგრამ ჩვენ რატომ არ გვიცავს?! შედეგად, ახლა ისინი ჩვენ გვაბულინგებენ. რატომ არ გვიცავს სახელმწიფო ამ ბულინგისგან, თუნდაც იგივე ფსიქოლოგიური ზეწოლისგან? ბულინგი ხორციელდება, რათა ექსპერტიზის ჩატარება აზრად არ გაივლო. ეს დანაშაული არ არის?! რა დღეში არიან იგივე ექთნები, ექიმები. ბევრს სააკაშვილთან შესვლა არ უნდა. ეს ხომ შეგნებულად, მიზანმიმართულად კეთდება. ამ პროცესის პარალელურად, მედპერსონალსა და ექსპერტებზე განხორციელებული ბულინგის გამო, ჩემი აზრით, გამოძიება უნდა დაიწყოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„ჰოდა, გვქონდეს ეს არაფრისმაქნისი მშვიდობა მსოფლიოსგან სადღაც მიგდებულებს“

8 გვ.

(რომელიღაც უწყებამ ხომ დანამდვილებით იცის იმ არასრულფასოვან პირთა ვინაობა და რაოდენობა, რომელთა ციხეებიდან გამოყრაც მოასწრო ქვეყნის მაოხრებელმა. დაიდოს საქვეყნოდ მათი „სპისოკი“, ვიცნობდეთ!). ჰოდა, ეს მიშა ქაქისროლიას მახვილა-კაცი ყველა ანტისამთავრობო აქციის ორგანიზატორად გადაიქცა, ბოლოს მიჰყვა მიჰას გაკვალულ გზას, წაშავდა უკრაინაში და ახლა იქიდან გვემუქრება, სოხუმიდან შემოვალთ და ტანკებით გადაგივლითო.

ესღა გვაკლდა, უკვე „სახელმოხვეჭილი“ „გმირები“ არ გვყოფნიდა? ისე, სოხუმიდან რანაირად შემოდიან, ჯერ მოსკოვს იღებენ?

ახლა „გალიჩინათი“ დავინტერესდი. მეთქი, რა არის, რა ევალება?

მიპასუხეს: „გალიჩინა — სსის უკრაინული დანაყოფია. „გალიჩინამ“ შექმნა ე.წ. „დუშეგუბკა“, სულთამხუთავი „პრიცეპკა“ ტვირთმზიდ მანქანაზე დახურული „კუნგის“ მონტაჟით. მასში არასასურველ ადამიანებს ამწყვდევდნენ, გამონაბოლქვით გუდავდნენ და შემდეგ წინასწარ გათხრილ ორმოებში ყრიდნენ. ნიურნბერგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, „გალიჩინას“ დაუდგინდა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი დანაყოფის სტატუსი. „გალიჩინას“ დივიზიის პირად შემადგენლობაშია 20 000-ზე მეტი ადამიანი იყო, მათ შორის იყვნენ ქალებიც... ფაქტობრივად, აღნიშნული დანაყოფი მხოლოდ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იბრძოდა, აწამებდა და ხოცავდა მათ. სახელი „გალიჩინა“ აიკრძალა, თუმცა, ვხედავთ, როგორც „ბანდერელები“, ისიც ფერფლიდან აღსდგა... იყო და არის ეჭვი, რომ მათ არაერთი სასაკლაო და სამარხი მოაწყვეს უკრაინაში დღესაც. სიმართლე კი დროთა განმავლობაში გამჟღავნდება...

აბა, ერთი, დამიხედეთ, რატომ ყოფილან ასე ატაცებულ-გაჯეჯილებულები ეს „ბალვანები“ იმ უმადური უკრაინიდან ჩართვების დროს და რატომ არიან რეალობას მოწყვეტილები ეს მოუშორებელი „მრგვალი ჭიები!“

აქ არ ეყარნენ დასტა-დასტად? — რა 2+1 წაიღეს?

დამუნათება რომ დაიწყეს, მაშინ უნდა მოხვედროდათ „დაუყვედრებელი შალაბანი“ და ამდენს აღარ (ვეღარ) გააჟუილებდნენ, მაგრამ „ძალიან თეთრი მტრედის ძალიან მშვიდობიან პოლიტიკას“ ქარგავს ეს ჩვენი ხელისუფლება და, რა ვიცი, ივარგებს ვითომ? — გამიგია, უსაშველოდ დიდხანს ნადგომი ღვინოც წყალდება...

ზურაბ ოქხერელი

დეტალებში დაფარული ეშმაკები

ოჯახურ ძალადობაში დამნაშავე მხოლოდ მამაკაცია?

ჩვენი საზოგადოება შეშფოთებულია ბოლო ხანს განსაკუთრებით ქალთა მიმართ გახშირებული ძალადობის გამო, რაც, რიგ შემთხვევებში, სამწუხაროდ, მკვლელობებით სრულდება. ბენებრივია, დაზარალებული ოჯახის წევრები პროკურატურისგან გამოძიების დაწყებას და დამნაშავის უმკაცრესად დასჯას ითხოვენ. მაგრამ, მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროს მყისიერი რეაგირებისა, პრობლემა არ და ვერ წყდება.

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის გამომწვევი მიზეზების შესახებ არაერთი კვლევეა არსებობს და ზოგიერთი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციაც სისტემატურად ღაღადებს, ქვეყანა იღუპებაო, გარდა აჟიოტაჟისა და მხოლოდ ცარიელი ფაქტების ფიქსაციისა, ვერც საზოგადოებას და ვერც სახელმწიფოს, პრობლემის გადაჭრის რეალურ გზებს ვერ სთავაზობენ. სამაგიეროდ, დონორების წინაშე თავს იმართლებენ, ჩვენი განცხადებებით სახელმწიფოს ცუდ დღეში ვაგდებთ და თქვენს მიერ გადმორიცხულ დოლარებს უქმად არ ვხარჯავთო. ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებსო ნათქვამია, მათი ფიცის ბოლო სწორედაც რომ ის სტატისტიკური მონაცემებია, ოჯახური ძალადობის ციფრებს სიკეთისკენ რომ ვერ ცვლის. ამის კლასიკურ მაგალითად მარნეულში მომხდარი ერთი შემთხვევაც კმარა.

ქვემოთ მოთხრობილი ამბავი არც მოგონილია და არც თითიდან გამოწოვილი ინფორმაცია. როგორც ადვოკატი, თავად მე ვიღებდი მონაწილეობას ამ სისხლის სამართლის საქმეში და ახლა უკვე უზენაესი სასამართლოს სამართლიან ვერდიქტს ველოდებით. პროკურატურის ბრალდება საეჭვოა, მაგრამ, სამაგიეროდ, იხეირა ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელმაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ერთი ოჯახის რეპუტაციას (ვინაიდან საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ დამდგარა, შეგნებულად არ დავასახელებთ იმ არასამთავრობო ორგაანიზაციას და მისი წარმომადგენლის ვინაობას. ამ თემაზე საუბარს მომავალშიც განვაგრძობთ).

მარნეულში მცხოვრებმა ეთნიკურმა აზერბაიჯანელმა წყვილმა დაქორწინება გადაწყვიტა. ქალი არასრულწლოვანი იყო (რაც, სამწუხაროდ, მიღებულია ამ რეგიონში). სიძე მშობლებთან ერთად მივიდა ხელის სათხოვნელად. ოჯახები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ახალგაზრდები მაშინ დაქორწინდებოდნენ, როცა გოგონა სრულწლოვანი გახდებოდა. გავიდა რამდენიმე თვე, შეყვარებულებმა პაემანზე სიარულს მოუხშირეს. გოგონა დაფეხმძიმდა, რასაც იგი რამდენიმე თვე ოჯახთან ერთად საგულდაგულოდ მალავდა. რომ არა ერთი შემთხვევა, ყველაფერი შემდგომ ნაკლებ დრამატულად განვითარდებოდა. სკოლის დირექციას შეუმჩნეველი არ დარჩენია არასრულწლოვანის ფეხმძიმობა და მისი ნების საწინააღმდეგოდ ამ შემთხვევის შესახებ ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას აცნობა, რომელმაც ჩვეული სტილით, ისე, რომ ფაქტების გამოკვლევით არც დაინტერესებულა, ბავშვზე ზეწოლის საშუალებით, რეგირებისათვის პროკურატურას მიმართა.

რა თქმა უნდა, გამოძიება დაიწყო არასრულწოვანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამო. სასიძო დააკავეს და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ფურცელზე დაწერილი „შემოქმედების“ წყალობით სისხლის სამართლის კოდექსით ისე დარტვირთეს, თავის მეგობრებთან ერთად 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ყველაზე ნიშანდობლივი ამ საქმეში ის გახლავთ, რომ საჩივრის ავტორმა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ერთ-ერთ პროცესზე უარი განაცხადა სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემაზე. სამაგიეროდ, თავისი არასწორი ნაბიჯებით, ოღონდ, ამ შემთხვევის გახმაურება საქმედ ჩათვლოდა ეს შემთხვევა გაახმაურა და დამნაშავეც დასაჯა. აი, საქმე და მათი სახელმწიფოებრივი მიდგომა! თუმცა ერთადერთი, რასაც ამ საქმიდან მესამე სექტორის წარმომადგენელმა მიაღწია, იყო ის, რომ მომავალი სიძე-პატარძლის ოჯახები სასიკვდილოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს.

პირველ თემას, ოჯახურ ძალადობას რომ დავუბრუნდეთ, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის დეფინიცია, განმარტება ასეთია: ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული და განგრძობადი ხასიათი, რადგან ხორციელდება ოჯახის წევრის ან წევრების მიერ სხვა ოჯახის წევრების მიმართ. მოსაზრება, თითქოს ძალადობა მხოლოდ ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტის ნიადაგზე წარმოიშობა, მცდარია, რადგან, კანონის თანახმად, ოჯახში ძალადობად მიიჩნევა **ოჯახის ნებისმიერი წევრის მიმართ განხორციელებული: ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, სექსულაური ძალადობა, იძულება**.

მაინც, როგორ იცავს დღეს მსხვერპლს ოჯახური ძალადობისაგან სამართალდამცავი ორგანო და რა უნდა იცოდეს საზოგადოებამ? ხშირია კრიტიკული მოსაზრებები მათ მიმართ, მაგრამ საზოგადოების ინფორმირებისათვის, კანონის თანახმად, შსს სამინისტროს მასშტაბით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და საუბნო სამსახური აქტიურად არიან ჩართულნი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ოჯახში ძალადობის შესახებ მოქალაქის, ან ნებისმიერი დაინტრესებული პირის მიერ ფაქტის ცნობაც კი საკმარისია (სატელეფონო შეტყობინება, განცხადება და ა. შ.), რომ რეაგირებისათვის შემთხვევის ადგილზე გადის შესაბამისი ეკიპაჟი.

და ბოლოს, იმ ადგილებშიც კი, სადაც არ ვრცელდება საპატრულო პოლიციის სამოქმედო არეალი, გამოძახებაზე გადის უბნის ინსპექტორი. ძალადობის ფაქტის დაფიქსირებისას, პოლიციელი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვისა და ძალადობის განმეორების თავიდან აცილების მიზნით გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, მისი დარღვევის შემთხვევაში კი საბოლოოდ გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სტატისტიკური მონაცემებით, ოჯახურ ძალადობაში მთავარი მონაწილე, დამნაშავე რატომღაც ყოველთვის მხოლოდ მამაკაცია და არა ქალი. ბუნებრივია, საზოგადოებას აინტერესებს, ვისი ინიცირებით და პრაქტიკით არის დადგენილი, რომ ოჯახურ ძალადობაში მაინცდამაინც მთავარ დამნაშავედ მამაკაცი უნდა გვევლინებოდეს? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნებისმიერი კანონის ინიცირებისას პარლამენტში აქტიურად ჩართულია მესამე სექტორი, ბუნებრივია, ის ყველაფერს გააკეთებს, რომ თავისი „პოლიტიკა“ ბოლომდე გაიტანოს და ამ მავნე მიდგომის შედეგად ვიღებთ ოჯახის ინსტიტუტს მამაკაცის გარეშე, რომელსაც ძალა ეცლება და, შესაძლოა, როგორც ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში ხდება, საბოლოოდ თავზე დაგვენგრეს! ჰოდა, ვიდრე კანონპროექტს მხარს დავუჭერთ, კარგად გავიაზროთ, „დეტალებში ხომ არ იმალება ეშმაკი“?!

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ოჯახური ძალადობის მიმართ მიდგომა ერთგვაროვანია, სადაც, როგორც აღვნიშნე, ოჯახურ ძალადობაში დამნაშავე მხოლოდ მამაკაცია, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ **ბასილაშვილ - დოროყაშვილის საქმეზე** მიღებული გამამართლებელი განაჩენით ქართულ საზოგადოებაში სრულად შეცვალა და დაანგრია მითი, მათ შორის ე. წ. მესამე სექტორის ძალისხმევით დადგენილი პრაქტიკა, რომ ოჯახურ ძალადობაში დამნაშავე არ შეიძლება იყოს მხოლოდ მამაკაცი და რომ სამართლის თანახმად, დანაშაულის მაპროვოცირებელი, შესაძლებელია, იყოს ქალიც და კანონის წინაშე ისიც დამნაშავეა. თუ ძველ გამოთქმასაც დავესეხებით, კვამლის გარეშე ცეცხლიც არ არსებობს ! რა თქმა უნდა, ჩვენ ამ წერილით ძალადობის გამართლებას არ ვცდილობთ. ძალადობა მიუღებელია, მაგრამ კანონი რომ მხოლოდ ერთი მხარის ინტერესს არ უნდა ერგებოდეს, ფაქტია. წინააღმდეგ შემთხვევაში თავად სამართალი გახდება ეჭვმიტანილი!

ლევან ჭიღლაძე

ჯერ კიდევ მაშინ...



გივი შეყილაძე

გადაჯეგეს თავთუხის ყანა,
გადაუარეს აყვავებულ
ველსა და მინდორს,
ბრბო მაშხალებით
ისე მოჩანს ამ შუაღამეს,
ცა, ვარსკვლავებით
დახუნძლული,
მოდისო თითქოს.
ხან სიმღერებით,
ხან სიცილით,
წყევლით და კვნესით,
აახმაურეს გალურსული
სივრცე მგზავრებმა
და ბილიკებზე, ხიდებზე,
გზებზე,
სიცილ-ტირილით
მიზრიალებენ.
მოაქვთ დროშებად
დაპირება კარგი დღეების,
მერე შენც დიდხანს გეძახიან,
გხმობენ და გხმობენ,
შენც ხელს ჩაიქნევ
და მორჩილად აედევნები
სადღაც ყაყანით
მიმავალ სოფელს.

- ეს ხომ ჩვენი იდეალების პირდაპირი ღალატია, - განაგრძო მდივანმა, - ასეთი ნაწარმოებები ასაკრძალია, არა თუ დასაბეჭდი. ხარჩილავა ჩვენს „პარადებსა“ და დემონსტრაციებს დასცინის. ავტორის პასუხისმგებლობაზე ჩვენ ვერ ვიმსჯელებთ, რედაქტორი კი თანამდებობიდან გათავისუფლებას იმსახურებს.

ვზივარ ბოლო რიგის ბოლო სკამზე, ვუსმენ ამ განაჩენს და წარმოუდგენლად ცუდ დღეში ვარ.

ამ დროს ჩამესმის:

- მოვუსმინოთ, თვითონ რას იტყვის.

ჩემს წინ ბუნდოვნად ვხედავ სახეებს, მათ უკან მკაფიოდ - კედელს და ჭერს. დაბნეული წამოვდექი და უეცრად წარმოუდგენელმა სინათლემ გამინათა გონება - გავლილია 78-ე წელი, ქართული ენის დასაცავად სტუდენტთა მიტინგები, თვალწინ დამიდგა მთავრობის სახლთან 14 აპრილს აზავთებული ახალგაზრდები, ამის გამოძახილი და ექო არა თუ ჩამცხრალია, თანდათან ძლიერდება. ვახტანგის და ტარიელის ლექსები ამ განწყობას ეხმიანება და ვთქვი: აქედან უნივერსიტეტამდე სამასიოდე მეტრია (რაიკომის შენობა ზოოპარკის და ტელევიზიის შენობის მიმდებარედ იყო), სანამ მე დავბრუნდები, ეს ამბავი იქ უკვე მისული იქნება, სტუდენტები ეზოში დამხვდებიან და ხელში აყვანილს შემიყვანენ უნივერსიტეტში.

მოულოდნელად რაღაც შეირხა, მხედველობა გამიმკვეთრდა და ბიუროს წევრთა შეშფოთებულ, შეცვლილ სახეებს ვხედავ.

- თანამდებობიდან მოხსნას იმსახურებს, მაგრამ შევინდოთ და სასტიკი საყვედური გამოვუტანოთ უკანასკნელი გაფრთხილებით, - თითქმის ჩურჩულით ამბობს მდივანი...

ვახტანგს მაშინ უკვე დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი და ეს ამბავი შეიტყო თუ არა, დღესაც არ ვიცი. თითქმის 45 წლის განმავლობაში არ შევხვედრივარ, ბოლო წლებში კი, ყოველ ოთხშაბათს, მის „საერთო გაზეთს“ „ვხვდებოდი“.

ვახტანგის შემდგომი ხანგრძლივი მოღვაწეობა და ძალისხმევა ჩვენი საზოგადოებისათვის სამაგალითო ნიმუშად რჩება.

ჯერ კიდევ მაშინ, იმ შორეულ 70-იან წლებში, მონიშნული რომ ჰქონდა საშშობლოსადმი მსახურების თავისი გზა, ამ მონათხრობითაც მჟღავნდება.

საოცარი და საკრალურია ის, რომ სწორედ მისი გარდაცვალების წინა დღეებში გამიჩნდა სურვილი, შევხვედროდი, მოვიძიე ტელეფონი და დავურეკე:

- რამ გაგახსენა ჩემი თავი, ბატონო გივი, - მითხრა ვახტანგმა, - პარასკევს ვერ შეგხვდები, ექიმთან მივდივარო.

დავთქვით ორშაბათი.

ორშაბათს, დილით გადავშალე გაზეთი „ასავალ-დასავალი“ და თვალთ დამიბნელდა: აღარ არისო ვახტანგ ხარჩილავა.

ჩემი მომდევნო თაობიდან წავიდა კიდევ ერთი მართალი, ქვეყნის მომავალსა და ბედზე არა მხოლოდ მოფიქრალი, პრაქტიკულად მოღვაწე და მოქმედი პიროვნება. ისღა მენუგეშება, რომ მის ფუძეჩაყრილ საქმეს ჭეშმარიტი გამგრძელებლები ჰყავს...



ვახტანგ ხარჩილავა
1977 წელს ქაღალდი „ასავალ-დასავალი“
ეროვნულობაში

x x x

ჯერ და ოდესღაც, სულად და ხორცად,
გაყოფილია ჩემი სიცოცხლე ჩემი.
სიზმრად და ცხადად, წყვლად და ლოცვად
გაყოფილია სიტყვისა ჩემი.

ორი ქვეყანა და ორი ზეცა
იახლოს ერთმანეთს და შესანირავს.
ოცვლილა ოცნებაა ეროვნებ ვეძიებ
და ყველს ეძებ ორი ქვეყანა.

ლიტერატურული კონკურსი „ფრთხილად, წინ მკითხველია!“

თამაზ წივწივაძის ფონდი და გაზეთი **„ლიტერატურული საქართველო“** აცხადებენ თამაზ წივწივაძის სახელობის ლიტერატურულ კონკურსს **„ფრთხილად, წინ მკითხველია!“**

კონკურსი ცხადდება შემდეგ ნომინაციებში:

საუკეთესო კრიტიკული წერილი (10 გვ.)

წლის საუკეთესო პუბლიცისტური წერილი (10 გვ.)

წლის საუკეთესო პოეტური ნაწარმოები (3-5 გვ.)

წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები (8-10 გვ.)

წლის საუკეთესო საბავშვო ნაწარმოები (პროზა, პოეზია — 3-5 გვ.).

საკონკურსოდ მიიღება 2022 წელს ჟურნალ-გაზეთებსა და ელექტრონულ გამოცემებში გამოქვეყნებული ნაწარმოებები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მასალები უნდა წარმოადგინონ 4 იანვრიდან 28 თებერვლის ჩათვლით პერიოდში.

მისამართზე: თბილისი, ზანდუკელის ქ. №1. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია, ბელა გველესიანს.

ელექტრონული ვერსიებისთვის:
tsivtsivadzis.fondi@yahoo.com

კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდებიან 2023 წლის 21 მარტს, ჟურნალისტიკის დღეს.

ნომინაციების მიხედვით პირველ ადგილზე გასული ნაწარმოებების ავტორებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო, დიპლომები და სამახსოვრო პრიზები.

მადლობა „საერთო გაზეთის“ რედაქციას

მადლობის წერილის დაწერას ვაპირებდი, კოვიდმა რომ მომისწრო. მინდა მთელი რაჭის სახელით ვუთხრა მადლობა ჩვენს მთავრობას და ადგილობრივ ხელისუფლებას საჩხერე-რაჭის გზის გაყვანისათვის, რომელიც ჩვენთვის ჰაერივით საჭიროა. ამ გზის არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანია რაჭისთვის. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმ ბიზნესმენებსაც, რომლებიც ასეთ კეთილ საქმეებში ეხმარებიან მთავრობასა და ქვეყანას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კოვიდი დამემართა და სამადლობელიც გამიორმაგდა. მოვხვდი რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დიდი მზრუნველობით გვივლიდნენ, გვქონდა არაჩვეულებრივი კვებაც.

დიდი მადლობა მთელ პერსონალს, რომლებიც საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ფასად იცავენ ჩვენს ჯანმრთელობას.

ვულოცავ ახალ, 2023 წელს ჩვენს მთავრობას და ყველა კეთილ და პატრიოტ ადამიანს.

თამარ იაშვილი

თურმე, რა დრო დაგვიდგა, ჩვენ სიმართლე გვწყურია.
დღეს „საერთო გაზეთი“ გამოდის, გვიხარია.
თვალსაჩინო რედაქტორს რა სიმძიმით უვლია,
მრავალ ტკივილს გაუძლო, არსად დაუჩივლია.

ხარჩილავა ვახტანგმა ახლახან მიგვატოვა,
ყველას გული დაგვწყვიტა, ჩუმად დაგვემშვიდობა,
მაგრამ მისი სახელი არასოდეს მოკვდება,
მის მეუღლეს, ქალბატონს, თამარს დიდი მადლობა.

გაზეთი კვლავ იცოცხლებს და დიდხანს გაგრძელდება,
შვილებს, ყველა მეგობარს დრეგრძელობა, მზეობა.
იხმაურეთ, იმრავლეთ, თამარ, გვანცა, მთვარისამ,
ბელამ, გიამ, ლევანმა და თქვენ, მრავალგვარისამ,

ყველას მოგეფერებით, ხალხს სიმართლე სწყურია,
საქართველო იმარჯვებს, რადგან სიყვარულია.

ქეთევან კობიაშვილი
გიორგობა, 2022 წლის 23 ნოემბერი

ერგასი წლის ჩვენი ლაშა გვასალია

— გადაუდებელი საქმე მაქვსო, — მირეკავს ჩემი უმცროსი ძმობილი ლაშა გვასალია.

მე მას ოცი წლით ვეუფროსები, ლამის შვილად მეკუთვნის. საამხანაგოდ ოთხმოცდაათიანი წლიდან შევეწყობით ერთმანეთს, ტაშკენტის ქუჩიდან, სადაც ჩემი სიყრმის მეგობრები, ჩინებული პოეტები და ეროვნული მოღვაწენი — **ზაურ მოლაშხია, ჯემალ შონია, გიორგი სიჭინავა, მურმან ზაქარაია, რობერტ პეტრიაშვილი,** და კიდევ ორი ათეული პატრიოტი იყრიდა ხოლმე თავს.

უჩვეულოდ გულწრფელი ღიმილი ახასიათებდა ლაშას სულმუდამ. ამ უშუალობამ დაგვამეგობრა.

გასაოცარი მეხსიერებით გამოირჩეოდა და გამოირჩევა დღესაც. მე მიხარია მსგავსი უნარის ადამიანთან ურთიერთობა, საერთოდ.

ჩვენი ლაშას იშვიათი მეხსიერების უნარი მხედველობიდან არ გამორჩენიათ „ნაციონალებს“. ამის წყალობით, ლამის წელიწადს თურქეთში მიავლინეს იგი საარჩევნო საქმეების შესასწავლად. როგორც იტყვიან, თავიანთ თავს ჭირი უსართეს. მოგვიანებით, ამ ცოდნის მეშვეობით, შეუძლებელი გახდება ლაშასთან სამეგრელოში არჩევნების გაყალბება.

პირადად მე მეხსიერების ჯილდო ხელოვნების საპირწონედ უფრო მესახება. ლაშას წაუკითხავი არაფერი რჩება დუნიაზე. საინტერესო ავტორების გამოჩენა აღაფრთოვანებს ეროვნულ ბელეტრისტიკაში. მოხიბლულია **ბესიკ ხარანაულის „მთავარი გამთამაშებლით“, აკა მორჩილაძის „ობოლეთი“, ნინო ხარატაშვილის „მერვე სიცოცხლეთი“ (ბრილკას), ნაირა გელაშვილის „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარეთი“.** ეგრევე გამოეხმაურება ხოლმე მათ ავანჩავანს. „ცნობიერების ნაკადის“ სტილის მწერლები ხომ სალაპარაკოდაც არ ღირს: **ჯეიმზ ჯოისი** და **უილიამ ფოლკნერი, კამიუ და სარტრი, რობ გრიე** და **ნატალი საროტი.** ხშირად მიუბრუნდება ხოლმე კლასიკას და აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან **სერვანტესი, ტოლსტოი** და **დოსტოევსკი.** ლაშა, საბოლოოდ, უბრალოებისკენ იხრება, დონ კიხოტის ფენომენს მიიჩნევს პლანეტარული გმირის ნიმუშად. ახლა ამისთანა დიაპაზონის ლიტერატორთან ძნელია, რამე ფასეული გამოაჩინო და მაინც ყურადღებით ეკიდება იგი ჩემს ლიტერატურულ გმირებს, ჟინი ანთარს, როკის, ოდოიას.

პოლიტიკური არეალი, ლარივით გამუდმებული დაჭიმულობა, დაღს ასვამს მის ცინცხალ შემოქმედებით უნარებს, ზეზეურად აცლის არაქათს და მაინც ლექსებისა და მოთხრობების ათამდე კრებული გამოსცა. არადა, უფრო ვრცელტანიანი რომანისთვის ვერაფრით იცლის, სულ საარჩევნო გაწამაწიაშია ჩართული, სულ დანის პირზე უწევს სიარული. თავად განსაჯეთ, მერამდენე წელიწადია, ჩვენი ლაშა მეუბნება, რომაწზე ვმუშაობო, დღეს თუ ხვალ-ზეგ მზად მექნებაო, მაგრამ არა და არ ჩანს ეს თხზულება. პოლიტიკური მამითადის ოთხი წელიწადი თვალსა და ხელს შუა გარბის. ისევ აგორდება ახალი საარჩევნო ტალღა, ისევ დაიწყება ელექტორატთან კარდაკარ სიარული. ისევ დაზეპირებული სიტყვების ტრიალია. არადა, ცხადლივ ვხედავ, როგორ აბომორებს თითქოსდა ეს უმადური სივრცე ჩემი უმცროსი ძმობილის შემოქმედებით ენერგიას.

ზემოთ მიხსებია, გადაუდებელი საქმე მაქვსო, რომ შემომითვალა.

ზუგდიდში ვარ ჩამობარგებული. გაქანებული საპარლამენტო არჩევნებია. ეს პერიოდი თბილისში რა გამაჩერებს, რომელი ქარი?! „ნაციონალებმა“ ისევ აიშვეს, იქაურ ღობე-ყორეს მოედვნენ. სამეგრელოში დააბანდეს თავიანთი დივიდენდები, რათა გულუბრყვილო, მიმნდობი ხასიათის ადგილობრივი მოსახლეობა თვალში ნაცარშეყრილი იყოლიონ. შემდგომ დანარჩენი საქართველოს მონუსხვა არც ისე ძნელად ესახებათ ბედნიერებს.

დაიარება ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატი პირველი ლედი პეპელათი გასენილ თხილნარებში სამეგრელოს გულდამწვარი ჭირისუფალივით და თვინიერი მეგრულად ეპაჭკვალება გამოყრუებულ მეგრელ დიაცებს:

— გეშაიღესო შურ თე მაფსირალ „ოცნებელებქ?!“ ვაგაშკურნან! ამარ ვარკუნთო მა, თქვან სანდრა! სო მალენა! ჭიჭე ხანს ქუმაცალით დო თინეფს ოტკობნალ ადგილ ვაგორენანია. (ამოგართვეს სული ამ გასაქრობმა „ოცნებელებმა?!“ აგერ, არ გყავართ მე, თქვენი სანდრა! სად გამექცევიან! ცოტა ხანს მადროვეთ და ისინი დასამალ ადგილს ვერ იპოვნიანო). და მიმდობი დიასახლიები ცრემლის ღვარღვარით, სლუკუნ-სლუკუნით, არაყის გრაფინითა და ჯანჯუხა-ჩირით მოაცილებენ იშვიათ სტუმარს.

აღარ დასჭირდა **ალუ გამახარიას** პესტიციდების ეშელონით ჩამოყენება ქუთაისიდან ოდიშში. სადაც კი, რომელ თხილნარშიც ფეხი შედგა პირველმა ლედიმ, პეპლები მაშინვე გადაშენენ. შესაბამისად, მისი რეიტინგიც ოთხმოც პროცენტს ურაკუნებს უკვე. დიდ გასაჭირშია ჩავარდნილი ჩვენი ლაშა და ვფიქრობ, ალბათ, ამის გამო მეძახის-მეთქი.

შტაბში ხალხის სიმრავლეა. ცალკე კაბინეტში მიმიწვევს. „კურტკის“ გულის ჯიბიდან დახვეულ ხელსახოცს ამოაცოცებს. დადებს მაგიდაზე. ლეღვის ტყლაპი და ჩურჩხელა მგონია შიგ გახვეული. თავად გახსნის. საკმაოდ ზორბა მაკრატელი ამოანათებს, დაახლოებით ისეთი, დიდედაჩემი **მარი ჯალალონხე** მკვიდრად რომ გაკოჭავდა ზონარით და სკამის საფეხურზე მიანასკვავდა ხოლმე, რათა გაუჩინარებილი პირუტყვისთვის ტურა-მგელს კბილი ვერ გაეკრა.

ვუყურებთ ორივე მაკრატელს და ხმა ვერ დაგვიძრავს. მორიგე გოგონა კარში გაჩხერილა და ცოცხალი თავით არავის ატარებს ზღურბლზე.

— მამის სამაგიერო თმა უნდა მოგაკვეცინოო. — ელდასავით დამკრავს ეს ხმა.

ვიცი მე, მითოსურ სამეგრელოში გაზრდილმა, რას ნიშნავს „თუმაშ მიკოცოთამა“ (თმის მოკვეცა). რომანშიც აღმიწერია მსგავსი რამ.

შვილის მაგივრად აყვანა გამიგონია და ჩემი თვალითაც მინახავს. ძმის მაგივრობასაც შევსწრებივარ. მამის მაგივრობის პატივი არ მქონია დღემდე და გავსაგნდები.

გაიღლაჭუნებს მაკრატელი ერთ-ორს, ვერცხლის ქაღალდში შეიხვევა ეს ხუჭუჭელა კულული. შემდეგ მაკრატელიცა და დასახელებული თილისმაც პირსახოცში შეიკვრება და ეგრევე მოყუჩდება „კურტკის“ გულის ჯიბეში.

— თმის მოკვეცა რას უშველის სანდრას რეიტინგს-მეთქი, — ვკითხავ ღიმილით.

— უშველის, აი, ნახავ, თუ არ უშველისო, — მპასუხობს რიხით.

— მისი განეიტრალების გასაღები ისევ მის წიგნშია. „იდეალისტის აღსარება“ ჰქვია. „ლინკის“ გამოცემულია, თხელყდიანი. რამდენიმე წლის წინათ წავიკითხე, დეტალებში არ მახსოვს შენსავით. ჩინებული მთხრობელია ისე. ეწერა წიგნები, შესაძლოა, ნობელის პრემიისთვისაც გამოეკრა ხელი მის სამეზობლო შვედეთში. ზორბა სხეულებით ჩაზნექილი საწოლის ზამბარები მახსოვს იქიდან. მახსოვს ჯაბა იოსელიანის მიხეილისადმი თქმული:

— თეთრი ცხენით მოიტაცე ეს თეთრი ქალიო. მოკლედ, მიუჩოჩდი იმ წიგნს და საჭირო კომპრომატს უცილობლად იპოვი-მეთქი.

მერე უბან-უბან ავედევნები ამომრჩევლებს.

— მესამე თუ მეოთხე დღეს მთელს ზუგდიდ-ქალაქს ვიხილავ სანდრას პლაკატებით გადაჭრელებულს.

— დაღუპულა ლაშას საქმე-მეთქი, — გამკრავს გონებაში.

მივუახლოვდები პლაკატს ხელის გაწვდენაზე და მსხვილი შრიფტით თვალში მეცემა ოდესღაც წიგნში ამოკითხული ჯაბა იოსელიანსა და ზვიად გამსახურდიას შორის ტოლობის გავლების ფრაზა, პირველი ლედი ორივე პიროვნებას ერთ ტაფაზე ხრუკავს, ორივეს ბანდიტს ეძახის. აი, ეს გადმოუასლებია ჩვენს ლაშას.

არ ვიცი, აქ რაიმე იმოქმედა თუ არა ჩემმა უკანასკნელმა თმახუჭუჭმა, მაგრამ ერთი ცხადია, კვირის თავზე, ჯერ კიდევ არჩევნების სასრულამდე გვარიანად ადრე, ჩვენი დიდებული სანდრას 8-პროცენტიანი რეიტინგი უმალ რვა პროცენტამდე ჩამობეხრეკდება.

გური ოტობაია,
მწერალი

იუბილარი ლაშა გვასალია პოეტი გია ჯიჭონაია

P. S. შუმერში, შუამდინარეთში, მესოპოტამიასაც რომ ეძახიან, კაცს აფქალად, სათათბიროში არაფრით აირჩევდენენ, თუკი სამოცი წელი არ შეუსრულდებოდა. ჩვენი ლაშა ძლივს ერგასის (50) გამხდარა და თავისი უმწიკვლო, მეომრული ბუნებით უკვე დაუმსახურებია დასახელებული ჯილდო, და დარწმუნებულიცა ვარ, ერთ, სახელმწიფოებრივად მომართულ პიროვნებას, არაფრით გამორჩება ეს სამამულე ძალისხმევა ადრე თუ გვიან.

გ. ო.

ვლადიმერ გუცაევი 70 წლისაა

ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველა თაობას ჰყავდა ბრწყინვალე ფეხბურთელები, რომლებიც მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით, ხელოვნებამდე აყვანილი ტექნიკით და ცეცხლოვანი თამაშით გამოირჩეოდნენ.

2022 წლის 21 დეკემბერს, უზადო ტექნიკის და დრიბლინგის საუკეთესო შემსრულებელს, ვლადიმერ გუცაევს, დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

მისი პირველი ნაბიჯები ფეხბურთში 1965 წლიდან თბილისის „ნორჩ დინამოელში“ გრიგოლ გაგუას და ჯემალ უშვერიძის ხელმძღვანელობით გადაიდგა, იმავე წელს მოზარდთა საკავშირო პირველობაზე ქალაქ ხარკოვში ჩემპიონის წოდება მოიპოვა და საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. 1971 წელს თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა. მისი დებიუტი 2 სექტემბერს, ლვოვის „კარპატთან“ შედგა, კარიერის პირველი ბურთი კი ლენინგრადის „ზენიტს“ გაუტანა. 1971 წლის ბოლოს სლავა მეტრეველი დიდი ფეხბურთიდან გააცილეს, მისი მაისურის მემკვიდრე ვოვა გუცაევი გახდა. ვოვას პირად საუბარში არაერთხელ უთქვამს: „უზომოდ ვამაყობ, რომ ფეხბურთიდან წასვლის წინ სლავა მეტრეველმა ცხრანომრიანი მაისური მე გადმომცა“.

ვლადიმერ გუცაევი 1971-1986 წლებში წარმატებით იცავდა თბილისის „დინამოს“ ღირსებას; მან ითამაშა 439 მატჩი და 83 ბურთი გაიტანა, საკავშირო ნაკრებში ჩატარებულ 11 მატჩში კი ერთი ბურთი გაიტანა; იყო 1978 წლის ჩემპიონი, 1977 წლის ვერცხლის მედალოსანი, სამჯერ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, 1976-1979 წლებში თასის ორგზის მფლობელი, 1981 წელს კი — ევროპის საკლუბო ტურნირის გამარჯვებული გახდა. იმავე წელს ვლადიმერ გუცაევს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება, 2011 წელს სპორტის სამინისტრომ „სპორტის რაინდის“ ტიტულით დააჯილდოვა. 2001 წელს იგი „ღირსების ორდენის“ კავალერი გახდა, 2004-2008 წლებში იყო საქართველოს მეექვსე მოწვევის პარლამენტის წევრი.

წარმატებული საფეხბურთო კარიერის შემდეგ ვლადიმერ გუცაევს არანაკლებ წარმატებული სამწვრთნელო კარიერა ჰქონდა — 1987-1990 წლებში მისთვის სათაყვანებელ თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობდა. გუცაევის მიერ გაწვრთნილმა უცხოურმა კლუბებმა — კვიპროსის „ანართოსისმა“ და ვლადიკავკაზის „ალანიამ“ თავიანთი ქვეყნების ჩემპიონატებში გაიმარჯვეს.

1981 წლის 13 მაისს გერმანული „კარლ ცაისის“ კარში გატანილი ბურთი ვოვა გუცაევის კარიერაში უმნიშვნელოვანესი გახდა.

დღეს ხშირად ახსენებენ, რომ 13 მაისის ჩრდილიდან უნდა გამოვიდეთო, ამაზე ვოვა გუცაევი კრიტიკოსებს ასე პასუხობს: „13 მაისის ჩრდილიდან ვერ გამოვალთ, სანამ მინიმუმ იმავე მასშტაბის გამარჯვებას არ მოვიპოვებთ. რამდენი წელიც უნდა გავიდეს, ჩემი თაობის ფეხბურთელებისთვის 13 მაისი სულ იქნება. ვამაყობთ, რომ საქართველოსთვის დიდი საქმე გავაკეთეთ. იმ გამარჯვებაში ჩვენი სამშობლოს, ქართული ფეხბურთის ისტორიაა ჩადებული, ამიტომ ეს გამარჯვება ეკუთვნის ყველას, ვინც ქართულ ფეხბურთში კვალი დატოვა. უამრავი კლუბი მილიონებს ხარჯავს, მაგრამ ევროპის თასის მოპოვებას ვერ ახერხებენ, ჩვენ კი, პატარა საქართველოში გაზრდილმა ბიჭებმა, უდიდეს გამარჯვებას მივაღწიეთ“.

ვოვა გუცაევის საფეხბურთო კარიერაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1981 წლის აგვისტოში, ესპანეთში, „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირს თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით. აღნიშნული ტურნირის მატჩები ვლადიმერ გუცაევის ბენეფისად უნდა ჩაითვალოს. შემოთავაზებამაც არ დააყოვნა, მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა ერთ მილიონ დოლარს იხდიდა ვოვა გუცაევში, რაც მაშინ ფანტასტიკური თანხა იყო, მაგრამ საბჭოური სისტემა ისე იყო მოწყობილი, უცხოეთში არ უშვებდნენ, თითქოს სამშობლოში მათ კარგი პირობები ჰქონდათ... ესპანელები ჯიუტად მოითხოვდნენ, იქნებ, გამონაკლისი დაუშვათო. შეგიძლიათ, კონტრაქტში სასურველი თანხა ჩაწეროთ, ხელფასზე კი ფეხბურთელს ჩვენ მოვურიგდებითო, — უთხრეს საბჭოთა სპორტის მესვეურებს. აი, ასეთი ისტორიაც ახსოვს ქართველ ლეგენდას თავის წარმატებულ კარიერაში.

საყოველთაოდ აღიარებული ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ ფეხბურთელს, ვლადიმერ გუცაევს თავისი ინდივიდუალური მონაცემების წყალობით, მარტოს შეეძლო გაერღვია დაცვის ხაზი და თავადვე გაეტანა ბურთი, გამორჩეული სასტარტო სისწრაფით და თავბრუდამხვევი

დრიბლინგით. მასთან ორთაბრძოლა ბევრ შემთხვევაში პენალტების დანიშვნით მთავრდებოდა, რადგან წესების დარღვევის გარეშე რთული იყო მისთვის ბურთის წართმევა.

იმ პერიოდში ძალიან პოპულარულები იყვნენ ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები. ჩემი თაობის მოზარდებს დიდი ფეხბურთელების ფართო არჩევანი გვქონდა, ბავშვები უმთავრესად ცხრანომრიანი მაისურით იწონებდნენ თავს. მაშინ სად იყო სპორტული მაღაზიები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ფეხბურთელების გვარისა და სახელის წარწერიანი მაისურების შეძენა, ამიტომ მოზარდები თვითონ ვაკეთებდით წარწერებს.

დაბადების დღეს გილოცავთ, ბატონო ვოვა, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ.

ბეჟან ჩხეიძე
555 41 97 33

„საერთო გაზეთი“ ულოცავს ვლადიმერ გუცაევს იუბილეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს უსურვებს მას.

დაე, კვლავაც ასეთი ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე ყოფილიყოს იგი კიდევ მრავალი წლის განმავლობაში!



მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მსახიობი და მომღერალი ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძე, რომელმაც თავი დაგვამახსოვრა და შეგვაყვარა თავისი როლებით. დარწმუნებული ვართ, მაყურებელს არასოდეს დაავიწყდება მისი ბენჯამენი („არ დაიდარდო“), მედროგე პავლე („ვერის უბნის მელოდიები“) და ვალიკო მიზანდარი („მიმინო“), ხოლო მისი სიმღერები კი, რომლებიც წლების განმავლობაში გვითბობდა სულს, კვლავაც დიდხანს იჟღერებს კიდევ, როგორც თბილისის უბნებისა და მის მრავალეროვან, სხვადასხვა კონფესიის ბინადართა მეგობრობის საგალობელი...

„საერთო გაზეთი“ თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და მთელ საქართველოს.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: ვვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); ბესიკ ცარციძე (გავრცელების სამსახური 599 58 72 50).

მის:. თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99